არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XXX

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია

2010 წლის 19-20 ნოემბერი
ბათუმი

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები

თბილისი
2010

მუშაობის გეგმა

19 ნოემბერი, 11 საათი

სხდომის გახსნა
მისალმებანი

I სხდომა

სხდომის თავმჯდომარეები: **გ. გოგოლაშვილი, მ. ფალავა**

1. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, განსხვავებულ მოდელთა უნიფიკაცია სამწერ-ლობო ქართულსა და დიალექტებში
2. ა. ა რ ა ბ უ ლ ი, დიალექტური ლექსიკის თემატური (ბუდობრივი) კოოპტაციის პრინციპი „სიტყვის კონის“ მიხედვით
3. მ. ფ ა ღ ა ვ ა, ძველი ქართული ლექსიკა სამხრულ კილოებში
4. მ. მ ი ქ ა ძ ე, იმერიზმების ადგილისათვის თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედებაში
5. თ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დიალექტური ლექსიკა და მწერალი
6. თ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, დიალექტური ლექსიკა „ქართული ენის საუნჯის მასალაში“ („ივერია“, 1900)
7. რ. გ ე რ ს ა მ ი ა, S_1 პირის ნულოვანი ალომორფის ფონოლოგიური პოზიციების განსაზღვრისათვის მეგრულში
8. მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შავშური დიალექტის ლექსიკიდან
9. ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, კაკაბ-სიტყვის ომონიმური ცალების წარმო-მავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში
10. მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი, ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის (ფითინ/-უთინ/ითინ/ედთინ/ეთინ/ლეთინ) შესახებ
11. ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, სიტყვა მზესთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

II სხდომა

19 ნოემბერი, 15 საათი

სხდომის თავმჯდომარეები: **თ. უთურგაიძე, შ. ფუტკარაძე**

1. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, განუსაზღვრელობით და უარყოფით ნაცვალსახელთა ფუნქციურ-ფორმობრივი მიმართებისათვის ქართული ენის დასავლურ დიალექტებში
2. შ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ე. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, მ. რ ი ჟ ვ ა ძ ე, სოფელ გევლის მეტყველების თავისებურებანი
3. ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ვითარებითი ზმნისართის პარალელური ფორმები მეგრულში
4. ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, სოფელ თიღვის ონომასტიკონი
5. ო. მ ე მ ი შ ი შ ი, რედუპლიკაცია ლაზურში
6. ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, პირობით-შედეგობითი ზმნური ფორმები სვანურში და მათი სემანტიკური მიმართება ძველი ქართულისა და მთის დიალექტის მონაცემებთან
7. ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ირანული ელემენტების კვლევისათვის ფერეიდნულში
8. ც. ნ ა რ ა კ ი ძ ე, ლაზური სალექსიკონო მასალა
9. ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებები სვანურში
10. ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, მეგრული კოჩი „კაცი“ ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებში
11. ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, დიალექტიზმები სასაუბრო მეტყველებაში (ინტერნეტ-მასალის საფუძველზე)

III სხდომა

20 ნოემბერი, 10 საათი

სხდომის თავმჯდომარეები: **ვ. შენგელია, ი. ჩანტლაძე**

1. მ. ქ ა მ ა დ ა ძ ე, -იან- სუფიქსით გაფორმებული გვარები აჭარაში
2. ჟ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი, რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე, ე. დ ა დ ი ა ნ ი, იმერული დიალექტის შესწავლის ისტორიისათვის (ახალი სალექსიკონო მასალა)
3. თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, დიალექტიზმები — როგორც პოეტურ-სტილისტიკური ხერხი მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში
4. მ. ღ ლ ო ნ ტ ი, უფალ-ის და ღმერთ-ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანისათვის ქართულ დიალექტებში
5. მ. ჩ უ ხ უ ა, ვნებითობის ს.-ქართვ. -ავ ნიშანი და მისი შესატყვისი ზანურში
6. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, პარალელური ფორმები შავშეთის ქართულ მეტყველებაში (ფონეტიკა)
7. ნ. ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე, ზმნისწინთა მონაცვლეობა და დამატებითი ფუნქციები სამხრულ მეტყველებაში
8. ნ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, -დ-ებ-ა და ი-/ე---ებ-ა სტრუქტურის ზმნები აჭარულში
9. ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მეგრულ-ლაზური მილოცვა-დალოცვის ფორმულებისა და ფრაზეოლოგიზმების ანალიზისათვის
10. თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, იშვიათი სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ მთის კილოებში
11. გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, ნასახელარ ზმნათა, მასდართა და მიმღეობათა სემანტიკური ცვლილებანი ზემოიმერული კილოკავის მონაცემთა მიხედვით

IV სხდომა

20 ნოემბერი, 14 საათი

სხდომის თავმჯდომარეები: **ა. არაბული, მ. მიქაძე**

1. გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, -ჰ და -ს პრეფიქსები თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში
2. ნ. ს უ რ მ ა ვ ა, ჩვენებურების მეტყველება როგორც სოციოლინგვისტური კვლევის ობიექტი
3. ე. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ხატოვანი სიტყვა-თქმანი „ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით
4. შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა, კვლავ დიალექტიზმების საკითხისათვის შოთა რუსთაველის პოემაში
5. მ. ბ უ კ ი ა, ნასესხები ზედსართავები მეგრულ-ლაზურში
6. ე. ბ ე რ ი ძ ე, ქრისტიანული სალოცავები და ტოპონიმები ნიგალის (ლივანის) ხეობაში
7. მ. კ ა კ ა ჩ ი ა, ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა, ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკონის შედგენისათვის
8. ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, მრავალგზისობის გამოხატვა კახურ დიალექტში
9. ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ადგილის ზმნისართები სვანურ დიალექტებში
10. ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღის ტოპონიმიიდან

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

დიალექტური ლექსიკის თემატური (ბუდობრივი) კოოპტაციის პრინციპი „სიტყვის კონის“ მიხედვით

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის თემატური (სემანტიკური) ბუდეები, რომელთა აგებულება ძირითადად გვარეობრივ-სახეობრივ საფუძველზეა დამყარებული და რომელთა შესადგენადაც ლექსიკოგრაფს, სრულიად აშკარაა, განსაკუთრებული კვლევა-ძიება ჩაუტარებია როგორც წერილობითი წყაროების, ისე ცოცხალი მეტყველების კილოური ქვესისტემების დონეზე.

ამგვარ ბუდეთა ძირითადი თავისებურება ის არის, რომ, როგორც მასალა წარმოაჩენს, ამ შემთხვევაში სემანტიკური ველის აგების პრინციპი არსებითად არ ცნობს დროულსა და სივრცულ საზღვრებს და ქართული ენის ლექსიკურ საგანძურს ერთ მთლიანობად მოიაზრებს.

საქმე ის არის, რომ რომელიმე სემანტიკური ველი იმდენადვე არის განვითარებული ანუ დიფერენცირებული, რამდენადაც არის განვითარებული ის თემატური არე (დარგობრივი მიკროსფერო, ცნებითი მიკროსისტემა...), რომელსაც მოცემული ველი ასახავს.

ამ ველის ოპტიმალურ სქემატურ გამოხატულებას წარმოადგენს ტრადიციული წრე, რომლის სივრცე შეიძლება დაყოფილი იყოს N რაოდენობის სეგმენტად — იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არის დიფერენცირებული კონკრეტული სემანტიკური ველი, ანუ რამდენი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული ქმნის ამ ველს, როგორც სემანტიკურ სისტემას. ამდენად, ამგვარ ველში „ცარიელი ადგილი“ პირობითი ცნებაა. თუ არა ჩანს რომელიმე „უჯრა“ კონკრეტული ენის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, არც აკლია, და თუ არსებობს, ჭარბი არ არის. „მეტობა-ნაკლებობა“ შეიძლება მხოლოდ მეორე ენასთან შეპირისპირებით ან ერთი ენის ორი (ან მეტი) ქვესისტემის შეჯერებით გამოჩნდეს.

რაც მთავარია: სულხან-საბას კონცეფციით, ველის ეს შიდა მოწესრიგება („შევსება“) არ ასახავს მხოლოდ ენის რომელიმე ერთი ქვესისტემისა და ამ ქვესისტემის სინქრონიის დონეს; პირიქით, ლექ-

სიკურ-სემანტიკური ბუდე აღნიშნული თვალსაზრისით პრინციპულად დიასისტემურია და დიაქრონიული.

მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ „**თოვლ-**“ სემანტემის ლექსიკური ბუდე. ეს ერთი სალექსიკონო სტატიაც ნათლად წარმოაჩენს სულხან-საბას ძირითად ლექსიკოგრაფიულ პრინციპს, ანუ იმას, თუ რაოდენ დიდი შრომა „დაუც“ ლექსიკოგრაფს შესაბამისი ლექსიკური ერთეულების გამოსაკრებად (ერთად „მოსაკრებად“) ქართული ენის ცენტრალურ (აქტიურ) თუ განმხოლოებულ საუნჯეთაგან.

> ***თოვლი*** *(3, 70 დანიელ) რა წვიმას ზამთარს ცივი ჰაერი შე(ჰ)ხუდების, შეათოებს და დამოცვივა. არამედ თოვლიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ პირველ ზამთრისა რა ღამის სიცივემა ცვარი შეათოოს, უჴმობენ თ რ თ ჯ ლ ს ა; ხოლო პირველ დათოვასა ვიდრე მიწათა გათეთრებამდე უწოდენ ყ ა პ ს ა: და თუ დათოვა ტერფამდე და მეტი მისი, იგი არს ფ ი ფ ქ ი; და მისი უმეტესი თ ო ვ ლ ა დ სახელ-იდების; უკეთუ თოვლი წვიმანარევი იყოს, ჭ ყ ა პ ს უწოდენ, და თოვლიანსა ნისლსა - ბ უ რ ს ა; თუცა ბურისა მიერ ხენი შეიყინენ, იგი არს ჭ ი რ ხ ლ ი; უკეთუ ხეთა ზედა თოვლი დადგა, ეწოდება ხ უ რ ხ ლ ი; ქარიანსა თოვლსა ეწოდების ბ უ ქ ი; ქარისაგან ახვეტილსა ადგილსა ჰქვიან ხ ი ა წ ი; და სადა თოვლი ნაბუქი შეგროვდა, მას - ნ ა ნ ქ ე რ ი; თუცა შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება ბ ზ ა რ ი; და რა ბზარი მზემა შეალბო, ეწოდება ლ ე ღ მ ა; მცირესა ფიფქსა ბზარ-ქმნილსა - ა რ ხ ი ლ ი; რა თოვლი აჭრელდეს, იგი არს ლ ი ლ ო; თუცა თოვლისა სიმრავლე მთამ ველარ იტვირთა და ჩამოიზვლა, იგი არს შ ვ ა ვ ი.*

ამ 16 ლექსიკურ ერთეულს CD და E რედაქციებში კიდევ ემატება ორი — **ზვავი** და **ლანქერი**: *და თუცა გაზაფხულ თოვლი შეყინებული ჩამოიზვლა, მას უწოდენ*

ზ ვ ა ვ ს ა; და თოვლის(ა) ნადნობსა წყალსა ლ ა ნ ქ ე რ ს ა უწოდენ.

ზვავი რომ ამ ბუდეში არა ძირითადი, არამედ პერიფერიული ლექსიკურ-სემანტიკური სისტემიდან მოხვდა, ეს ჩანს იქიდან, რომ საბას მისი ძირითადი მნიშვნელობა მხოლოდ ძველქართულისეული აქვს ნაჩვენები: ***ზუავი*** *(ზვავი CDE) (+24, 1 იობ.) უზომო(დ) დოდო, გინა გვამი.* **ზვავის** ის მნიშვნელობა, რომელიც „თოვლ-“ ბუდის დამატებით რედაქციებში ჩანს, ასევე გამოჩნდება **შვავის** განმარტების ზოგ რედაქციაში: *„ფიფქის ზვავი“ (CqDE).*

ამავე დროს, კლასიკური პერიოდის მწიგნობრობის უკვე გამოვლენილი ლექსიკური ფონდი გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, რომ ამ ბუდის სიტყვათა უმეტესობა ამა თუ იმ სამეტყველო ქვესისტემას უნდა ეკუთვნოდეს (**ყაპი, ბუერი, ხურხლი, ხიაწი, არხილი**...). ეს ერთეულები რომ ზეპირმეტყველების მონაცემთა შერჩევის შედეგი იყო, ამას ცხადად წარმოაჩენს ლექსიკონის რედაქციებში არსებული ფონეტიკური ვარიანტებიც ამა თუ იმ ლექსემისა: **ბური** და **ბუერი**(E), **ყაპი** და **ყაპყი**[1] (E).

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სემანტიკური ბუდე თვით საბას ლექსიკონი-დანვე შეიძლება შეივსოს, სავარაუდოა, პერიფერიული ლექსემით: ***ყატყი*** *წყლიანი თოვლი ZABCb.*

სულხან-საბასეული პრინციპი ლექსიკონის ბუდობრივი შევსებისა, ვფიქრობთ, არის ის გზა, რომლითაც მტკიცე მეცნიერული საფუძველი ექმნება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“ დარგობრივი შინაარსის ლექსიკის მართებულად შერჩევის ამოცანას.

მ ა ი ა ბ ა რ ა მ ი ძ ე
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

შავშური დიალექტის ლექსიკიდან

უკანასკნელ წლებში მოპოვებული სამხრული (ისტორიული საქართველოს მკვიდრთა) მეტყველების ნიმუშები საშუალებას გვაძლევს ამ, ლექსიკურად და გრამატიკულად მრავალმხრივ საინტერესო მასალაზე დაკვირვებისა და მისი ანალიზისა. ამ მხრივ აღსანიშნავია შავშეთის მკვიდრთა ქართული მეტყველება.

ბუნებრივია, აღნიშნული კუთხის ქართულ მეტყველებაში ბევრია თურქული სიტყვა, რომელთა პარალელურად მათი ქართული შესატყვისებიც დასტურდება.

---

1 **ყაპყ-** ფუძეს ფ. ერთელიშვილი **ყაპ-** ძირის გაორმაგების შედეგად მიიჩნევს.

• ზოგიერთ ქართულ სიტყვას ცნობილი, გავრცელებული მნიშვნელობის გარდა აქვს სხვა მნიშვნელობაც, რომელიც ქართული ენის სხვა კილოებში ჯერჯერობით არ არის შენიშნული. ასეთებია: ***აწევა, გაკეთება, დაწვენა, კითხვა, მირთმევა, ცოცხლობა, ადგა, ღორი...***

• სიტყვის მნიშვნელობას განასხვავებს ხმოვანი პრეფიქსი **ა-**. შდრ.: *ცხელ წყალ ჩა-ა-სხამ (ბაძგირეთი); მე?ხარშვის, დერგში ჩავ-ა-სხამთ (ხევწრული); იქში ჩა-ა-სხამ მოხარშულს (უბე); მე ჭადიანნა ჩავსხა (უბე); კვერებ დავაყენებთ, მემრე თექრენ (ისევ) ჩავსხამთ სობაში (ღუმელში) და გამუაცხობთ იშტე (ჩაქველთა); უწინ კეცში ჩავსხემდით, იქში ჩავსხემდით (ბაძგირეთი).* სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმების მნიშვნელობა კონტექსტზეა დამოკიდებული: *პურიანნა ჩევსხა... სობაშიანნა ჩავსხა (უსტამისი); ნაჩარი (=ცუდი) ბენზინი ჩეგისხათანნა, გოუგეთ (ჩაქველთა),* შდრ.: *ჩევიდეთ ჭადი ჩეგისხა და გაჭამოთ (უბე).*

• გაფართოებულია მნიშვნელობა სიტყვისა ***ღარჭი,*** რომელიც ლექსიკონებში ახსნილია როგორც ვაჟიშვილი, ამ მნიშვნელობის პარალელურად ეს სიტყვა უფრო ხშირად გამოიყენება და მკვიდრდება საერთოდ ბავშვის მნიშვნელობით, ვაჟიშვილის მნიშვნელობით მას ენაცვლება „ბიჭი“: *ორი თანე ღარჭი ყავს: ერთი ბაჯალა(=ბოგო), ერთი ბიჭი (ჩაქველთა). ოთხი თანე მყავს ღარჭები — ორი ბიჭი, ორი ბაჯალა (ზიოსი). თქვენ ხოჯები (=მასწავლებლები) ხართ უნივერსიტეტში, ღარჭებ ასწავლით, არა? (ჩაქველთა).*

ეთერ ბერიძე
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქრისტიანული სალოცავები და ტოპონიმები ნიგალის (ლივანის) ხეობაში

„ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არის ართვანი, ქალაქი. მცირე მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების **ლიგანის** ხეობად“ (ვახუშტი).

გეოგრაფიული თვალსაზრისით **ნიგალი** მოქცეულია მნიშვნელოვან არეალში. ჩრდილოეთით იგი განიყოფა კარჩხლის მთათა სისტემით მაჭახლისა და აჭარისაგან, აღმოსავლეთით — საკუთრივ კლარჯეთისა და არტანუჯისგან, სამხრეთით — ტაოსაგან, ხოლო საანალიზო ხეობა დასავლეთით ებჯინება ლაზეთის ქედს. როგორც ჩანს, ნიგალი უძველესი ფორმაა. სონორ ბგერათა სუბსტიტუციის გზით ადვილად შესაძლებელია ნიგალისაგან ლიგალის მიღება. დღეს ადგილზე დასტურდება **ნიგალ-ა**, სადაც **-ა** სუფიქსს მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს.

საინტერესო და მდიდარი მასალა მოვიძიეთ და ჩავიწერეთ სამეცნიერო ექსპედიციაში ყოფნისას. ტოპონიმიას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წარსულის გასააზრებლად და შესასწავლად. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო დავიწყებას ეძლევა ანდა იცვლება ძველი ტოპონიმები, განსაკუთრებით მაკრო და საკუთრივ ტოპონიმები. ჩვენ მიერ ფიქსირებული მასალის დიდი ნაწილის სახელწოდება, მათი ფორმა თუ შინაარსი დღეისათვის შეცვლილია, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული, მათ შორის ქრისტიანული სემანტიკის შემცველი ტოპონიმები. ხშირია ისეთი ტოპონიმები, რომლებიც მხოლოდ ნამყოში არსებობაზე მიუთითებენ (**ნაეკლესიავი, ნაქილისვარი, ნაქილისავი** და ა. შ.).

აშკარად ჩანს, რომ წარსულში ამ ხეობაში, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებოდა ლექსემა „წმინდა“. აქ შეხვდებით შემდეგ ტოპონიმებს: **წვინდა ტატია, წმინდა მარიფექ, მამაწმინდა** || **მარვაწვინდა, იორგიწმინდა, ასევე: საყდარი, ზიარეთი, მთავარანგელო, ჯვარიქედი, ხატილასღელე, ნადარბაზევი კვირიკეთი, ხატიკვორდი** და სხვა. ტოპონიმთა უმეტესობა სათესებს, ტყიან ადგილებსა და საძოვრებს აღნიშნავს.

ჩვენი ვალია, კვლავაც გულმოდგინედ შევკრიბოთ და ყურადღებით დავამუშაოთ საქართველოს უძველესი ისტორიისა თუ მშობლიური ენის ეს ძვირფასი საუნჯე უახლესი დიგიტალიზებული ვიდეო-აუდიო აპარატურით, რათა ინტერნეტული ქსელის საშუალებით რაც შეიძლება დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველებს (და არა მარტო მათ).

თ ი ნ ა თ ი ნ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე
(თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დიალექტური ლექსიკა „ქართული ენის საუნჯის მასალაში“ („ივერია“, 1900)

მოხსენებაში განხილული იქნება, რამ განაპირობა „ქართული ენის საუნჯის მასალის“ შეგროვება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და რა ადგილი ეკავა ამ მასალაში დიალექტურ ლექსიკას. პეტრე მირიანაშვილის მოწოდებით, 1900 წელს „ივერიამ“ დაიწყო ანბანის რიგზე დალაგებული და განმარტებული სიტყვების ბეჭდვა, რომელსაც აწვდიდნენ მას ქართველი ინტელექტუალები და სიტყვის ოსტატები. ამ მასალაში, რომელიც სულხან-საბა ორბელიანისა და ჩუბინაშვილის ლექსიკონების შევსებას ისახავდა მიზნად, ყველაზე დიდი ნაწილი იყო დიალექტური ლექსიკა განმარტებებითა და საილუსტრაციო მასალით.

დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი, როგორ ხდებოდა დიალექტური ლექსიკის შერჩევა „ქართული ენის საუნჯის მასალისთვის“, რა პრინციპებით ხდებოდა მათი განმარტება და დღეს რა მნიშვნელობა აქვს ამ მასალას ქართული დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიისთვის.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ნასესხები ზედსართავები მეგრულ-ლაზურში

ზედსართავი სახელის კვლევამ გვაჩვენა, რომ მეგრულ-ლაზურში პირველად ზედსართავთა შორის სოლიდური ადგილი აქვს დათმობილი ნასესხებ ლექსიკას.

ლაზურში იკვეთება თურქულიდან ნასესხობის დომინანტი, ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება ბერძნულიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები.

ზოგიერთი თურქული სიტყვა საკუთრივ ლაზური ფორმის პარალელურად არის წარმოდგენილი: **ალა** (< თ. ala) // **ჭერელი**, **ჭელერი**, **ჭირილი** „ჭრელი“; **კირმიზი** (< თ. kirmizi) // **მჭითა**, **ჭითა** „წითელი“... ხშირად კი მხოლოდ ნასესხებობის სახით გვხვდება: **ეშილი** // **ეეშილი** < თ. yeşil „მწვანე“; **სარი** // **საეი** < თ. sari „ყვითელი“...

ხშირად ზედსართავები ფონეტიკური ვარიანტების სახითაა წარმოდგენილი: **ბეათი** // **ბეთი** // **ბიათი** „ცუდი, წარმოუდგენელი, საშინელი“ < თ. bet; **ზაეფი** // **ზაიფი** „სუსტი, უძლური, მჭლე“ < თ. zaif; **ზავალი** // **ზავალლი** „უბედური, გაჭირვებული“ < თ. zavalli. **თერსი** // **თერცი** „თარსი, ცუდი, უკუღმართი“ < თ. ters.

ლაზურში ნასესხობათა შორის განვიხილავთ ჰიბრიდულ ზედსართავებს, სადაც საზღვრულად გვხვდება თურქულიდან შეთვისებული **რენგი** „ფერი“ (< თურქ. reng / renk „ფერი“: **მთუგიშრენგი** „თაგვისფერი, ნაცრისფერი“, **მტვერიშრენგი** „ნაცრისფერი“, **ცაშრენგი** „ცისფერი“, **ჭუბუიშრენგი** „წაბლისფერი“., აგრეთვე სხვა კომპოზიტებს, სადაც შემადგენელი სიტყვა თურქულია: **ხავი-გურონი** „ავგულა“

ბერძნულიდან არის ნასესხები **ატეკნე** „ბერწი, უშვილო“, ლაზური აფიქსით გაფორმებული **ნოსერი** / **ნოსიარი** / **ღნოსერი** „გონიერი, ჭკვიანი“...

მეგრულში ნასესხები ზედსართავები ნაკლებად გვხვდება, ძირითადად გვაქვს წინა საუკუნეში რუსულიდან შეთვისებული ლექსიკა: **ტიოვნი** „ბნელი“ < რუს. темный, **ლიშნი** „ზედმეტი“ < რუს. лишний, **კარეჩნი** „ყავისფერი“ < რუს. коричневый...

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

იშვიათი სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ მთის კილოებში

პოლიპერსონალურ ზმნა-შემასმენლებიან წინადადებაში ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა ბრუნვაში მართავენ ქვემდებარეს. ეს კოორდინაციის ერთ-ერთი ნიშანია. როდესაც წინადადებაში რამდენიმე ზმნა-შემასმენელია ერთ ქვემდებარესთან და ისინი განსხვავებულია გარდამავლობისა და მწკრივის მიხედვით, რა თქმა უნდა, ქვემდებარე

ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვაში არ ეწყობა. მიღებული თავლსაზრისით, ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე იმას უწევს ანგარიშს, რომელი ზმნა-შემასმენელიც უახლოესია მასთან.

თუმცა მთის დიალექტებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი პოლიპრედიკატულ წინადადებაში მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში გარდამავალის მსგავსად. საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე როგორც მოსალოდნელი იყო არა სახელობითში, არამედ მოთხრობით ბრუნვაში დგას: „ამ **ღურბელამ წამოვიდა** და ავსაჯანიშვილის ქალი **ითხოვა**“ (მოხეური, ქართ. დიალექტ. გვ. 42); „ამ **უხეირომ წავიდა** თავის სახლისაკენ, ხმალი ალაგზე **დაუშო**“ (მთიულური, ქართ. დიალექტ. გვ. 75); ზოგჯერ **ავდარმა მოგოსწვრის**, ვეღარ **დავფარცხავდითკე**“ (გუდამაყრული, ქართ. დიალექტ. გვ. 83); „**ბებრებმ** ეგ რაიმ **შაგმღერიან**, ძველები **იტყოდიან**“ (ფშაური, ქართ. დიალექტ. გვ. 135) ასეთი შემთხვევები მთის სხვადასხვა კილოებში დადასტურდა.

მსგავსი ტიპი ხშირია დასავლურ კილოებში, სადაც ზმნის გარდაუვალობა მნიშვნელობის მხრივ თანდათან ქრება და ქვემდებარესთან შეთანხმების დროს (ნამყო სრულის ჯგუფში) იგი გარდამავალ ზმნებს მისდევს. მაგრამ აღმოსავლურ კილოებში ზმნის გარდაუვალობა მყარია და უცნაურია ასეთი სინტაქსური კონსტრუქცია.

გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში მართვა აიხსნა განსაკუთრებული სინტაქსური კონსტრუქციით, სადაც ერთგვარი პირობის დაცვაა საჭირო: „წინადადება უნდა იყოს რთული, შემდგარი ორი ან მეტი წინადადებისაგან; ქვემდებარეს უნდა ეჭიროს გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორის ადგილი... („ადგა ბიჭსა და გამაეღვიძა“; წავიდა ქალმა და შასტირა სიზმარას“). ეს მოვლენა მეგრული ენის ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი“ (ვ. თოფურია, 1923). სხვა მოსაზრებით კი ამის ახსნა მდგომარეობს მეზობელ გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარის მართვის ანალოგიაში (გ. როგავა, 1980).

ჩვენს მასალებში ჩანს, რომ გარდაუვალ ზმნა-შემასმენლის მიერ ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში მართვა არა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა ქვემდებარე გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორისაა, არამედ მაშინაც, როცა პოლიპერსონალურ წინადადებაში ჯერ ქვემდებარეა და შემდეგ გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი. ქვემდებარე შეთანხმებულია არა უახლოეს ზმნა-შემასმენელთან, არამედ მომდევნო ზმნასთან.

შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

კვლავ დიალექტიზმების საკითხისათვის შოთა რუსთაველის პოემაში

მიუხედავად იმისა, რომ უკვე თითქმის ერთი საუკუნეა, დილექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“ კვლევის საგანია, დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, შოთა რუსთაველის მშობლიური კილო მესხურია თუ ჰერული.

„ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული მემკვიდრეობა, ხალხური გადმოცემები, აღორძინების პერიოდის ქართველ მწერალთა ცნობები გენიალური პოეტის მესხურობის თვალსაზრისს უჭერს მხარს.

მოხსენების ავტორის აზრით, არარუსთველურად მიჩნეული პოემის ეპილოგის ის სტროფიც რუსთაველს კუთვნის, რომელშიც პოეტი თავის თავს „ვინმე მესხ მელექსედ“ მოიხსენიებს.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მესხურობას მხარს უჭერს პოემის ენის ანალიზი: მესხურ დიალექტს რუსთაველის ეპოქაში ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლურ ენებთან, პოემაში დასტურდება არმენიზმები, მრავალი ორიენტალიზმი, ქართველური ლექსიკური ერთეულები და სხვა მეზობელ დიალექტებთან საზიარო ფორმები.

წამყვანი არაბულ-სპარსული პლასტის გარდა პოემაში თურქული და მონღოლური ლექსიკაცაა გამოყენებული.

„ვეფხისტყაოსანში“ დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები გვხვდება (არნ. ჩიქობავა):

ნაცვალსახელ მისი-ს ხმარება „თავისი“-ს ნაცვლად; იგი ნაცვალსახელის ხმარება მსაზღვრელადაც; აქა — ზმნისართის ნაცვლად აქანა-ს ხმარება, რომელიც აჭარულ, გურულ და უპირატესად ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი. გარდაუვალ ორპირიან ზმნათა თურმეობით II-ისა და კავშირებით III-ს საწარმოებელად -ოდ სუფიქსის გამოყენება იმერული და გურული დიალექტების მსგავსად. აწმყო დროის ფუძის საწარმოებელი -ავ-, -ამ- სუფიქსების ნამყო უსრულში -ევ- სუფიქსით ჩანაცვლება; ანდა ე-ს დაკარგვა და ი-ს დართვა, რომელიც სხვადასხვა დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, მათ შორის აჭარულის, გურულისა და ზემო იმერულისთვის. სახელის ფუძეების შეუკუმშველი ფორმებით ხმარება; ზანური მეტყველე-

ბიდან მომდინარე ეს მოვლენა ქვემო იმერულისთვისაცაა დამახასიათებელი.

„ვეფხისტყაოსანში“ არის სიტყვების ჯგუფი, რომელიც იმ დიალექტებშიც არის დადასტურებული, რომლებთანაც მესხურს ჰქონდა ისტორიულად ურთიერთობა: ზემოაჭარული, იმერხეული, გურული, იმერული, ჯავახური. მაგ.: კაპან-ი „კლდოვანი, ძნელად გასასვლელი გზა“, ერთ სახე — ერთ ცახე (გურული, იმერული), „ცოტა, პატარა“ და სხვ.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული მესხურს აქვს შემორჩენილი. მაგ.: ნას-ი „ცუდად გაფუებული ცომისგან გამომცხვარი პური“.

პოემაში სვანურთან ზიარი სიტყვაც გვხვდება. სარაჯ-ი („წყლის მილი“) შდრ. სვანური სარაგ, „წყარი“.

რუსთაველთან „სამიზნის“ მნიშვნელობით ხმარებულ საგან-ს მეგრულში „ისრის“ მნიშვნელობა აქვს.

„ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველი მშობლიური დიალექტი მესხური იყო, რაც მას დიდებულ ქმნილებაშიც აისახა.

რ უ ს უ დ ა ნ გ ე რ ს ა მ ი ა
(თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

S_1 პირის ნულოვანი ალომორფის ფონოლოგიური პოზიციების განსაზღვრისათვის მეგრულში

მეგრულის ცენტრალური (ხობი, ჩხოროწყუ) და დასავლური (ზუგდიდი, წალენჯიხა, გალი) არეალის ტექსტურმა მასალამ გამოავლინა მაგალითები, როცა S_1-ის **ვ-** მორფემა **ო**-ხმოვნის წინ ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი, ხოლო ზმნისწინისეული ხმოვანი **ო** გადასულია **უ**-ში, ანუ **ვ-** მორფემის შემადგენელი **ო-ვ-ო** მიმდევრობა გარდაქმნილია **უ-ო**'დ:

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორგვარი თვალსაზრისი: 1. **ვ-** იკარგება **ო**-ს წინ (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე); 2. **ვ-** არ იკარგება. **უო** მიმდევრობაში კი „**უ** განიხილება **ოვ** ან **ვო** (**ვო** > **უ**) სეგმენტის მონაცვლედ“; ამასთან, -**უ** ჩათვლილია **ვ**-ს ტოლფარდ ფუნქციურ ოდენობად — S_1-ის **ვ-** მორფემის ალომორფად (ლ. ეზუგბაია).

ზემოაღნიშნულ თვალსაზრისებს ახლავს რამდენიმე წინააღმდეგობა და ზოგი საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. მოხსენებას არის ცდა, ერთი მხრივ, ამ წინააღმდეგობათა ასახსნელად და, მეორე მხრივ, S_1 პირის ნულოვანი ალომორფის ფონოლოგიური პოზიციების დასადგენად.

მეგრულისათვის დამახასიათებელი მორფონოლოგიური გარდაქმნების შედეგად **ვ**-ს დაკარგვის შემდეგ თავმოყრილი **ოო** მიმდევრობა გადადის **ა**-ში (**ოო** > **ა**) (ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე), და არა **უ**-ში, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს **უო** მიმდევრობის მიღებას და უფრო მართებულ გზად წარმოაჩენს **ო-ვ-ო** > **უ-ვ-ო** > **უო** გადასვლას ზმნისწინისეული ხმოვნის დისიმილაციით და გარდაქმნის ბოლო საფეხურზე **ვ**-ს დაკარგვით: **დო-ვ-ოთასაფე > დუ-ვ-ო-თასაფე > დუ-Ø-ოთასაფე** „დავათესინე“, **ქო-ვ-ოძირანქ** > **ქუ-ვ-ოძირანქ** > **ქუ-Ø-ოძირანქ** „ვაჩვენებ, ვანახებ“; შდრ.: II და III პირის ფორმები: **და**-თასაფე/უ < ***დოო**თასაფე/უ „დათესე/ა“; **ქა**ძირი/უ < ***ქაა**ძირი/უ < ***ქოა**ძირი/უ < ***ქოოძირი**/უ „ნახე/ა“.

მიუხედავად იმისა, რომ **ოვ-** > **უ** გადასვლა მეგრულისათვის უცხო არ არის (გ. კარტოზია), იგი ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ახლავს წინააღმდეგობები. **ვო-** > **უ** გადასვლისათვის კი ხელი **ო**-ს ფუნქციურ ღირებულებას უნდა შეეშალა. შდრ.: ერთი მხრივ, **დო-ვოფუნუანქ** || **დუვოფუნუანქ** „ავადუღებ“ და, მეორე მხრივ, **დო(ვ)უ-ფუნუანქ** || **დუფუნუანქ** „ავუდუღებ“.

S_1: **ვ-** > **Ø** გადასვლა გვაქვს:

1. ლაბიალური **უ** ხმოვნის წინა პოზიციაში (შდრ.: შენარჩუნებულია, თუ S_1 მორფემის ალომორფი **უ**-ს მომდევნოდ არის გადასმული. აღნიშნული საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი).

2. თუ ზმნური სტრუქტურის ანლაუტში მდგარი ფუნქციური ელემენტები (ზმნისწინები, მტკიცებითი და უარყოფითი ნაწილაკები) ბოლოვდება **ა** ან **ო**-ზე და ესაზღვრება S_1 პირის **ვ-** მორფემას:

- *უარყოფითი ნაწილაკი:* **ვა-ო-რეექ** < **ვა-ვ-ორეექ** „არ ვარ“, **ვა-ო-ოთანქ** < **ვა-ვ-ო-ოთანქ** „არ გადავაგდებ / არ დავკარგავ / არ ვესვრი“, **ვა-ო-რწყეექ** < **ვა-ვ-ო-რწყეექ** „ვერ ვხედავ“, **ვა-ო-ძირანქ** < ვა-ვ-ოძირანქ „არ ვანახებ“.

მტკიცებითი ნაწილაკი: **ქო-ვ-ოძირანქ** > **ქუ-ვ-ოძირანქ** > **ქუ-Ø-ოძირანქ** „ვაჩვენებ, ვანახებ“; **ქო-ვ-ოშებაფუანქ > ქუ-ვ-ოშებაფუანქ > ქუ-Ø-ოშებაფუანქ** „ვაშოვნინებ“.ᲩᲨ

ზმნისწინი: **გო-ვ-ონძგვირინუანქ** > **გუ-ვ-ო-ნძვირინუანქ** > **გუ-Ø-ონძგვირინუანქ** „სახტად დავტოვებ“, **გო-ვ-ოჯუნაფუანქ > გუ-ვ-ოჯუნაფუანქ > გუ-Ø-ოჯუნაფუანქ** „დავაკოცნინებ“.

ამგვარად, მეგრულში (დასავლური და ცენტრალური არეალის ტექსტებში) S_1-ის ალომორფად **Ø-** გვხვდება:

1. თუ S_1 მორფემის ალომორფი **უ**-ს მომდევნოდ არ არის მოქცეული;

2. ინტერვოკალურ პოზიციაში, როცა ერთ-ერთი ხმოვანი ლაბიალურია: **ა-Ø-ო** (< **ა-ვ-ო**); **უ-Ø-ო** (< **უ-ვ-ო** < **ო-ვ-ო**).

გ ვ ა ნ ცა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ნასახელარ ზმნათა, მასდართა და მიმღეობათა სემანტიკური ცვლილებანი ზემოიმერული კილოკავის მონაცემთა მიხედვით

1. ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გზა სახელებისაგან ზმნათა, მასდართა და მიმღეობათა წარმოქმნაა. ნასახელარ ზმნებს, მასდარებსა და მიმღეობებს მრავალი თავისებურება ახასიათებს, მაგრამ ჩვენი მიზანია ამ ჯგუფის სიტყვათა სემანტიკური ცვლილებების ანალიზი ზემოიმერული კილოკავის მონაცემთა საფუძველზე. საანალიზო მასალა აღებული გვაქვს პროფ. ქეთევან ძოწენიძის მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან და მისივე „ზემოიმერული ლექსიკონიდან“.

2. მასალაზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო სამი პირობითი ჯგუფი:

ა. ნასახელარ ზმნას, მასდარს, ან მიმღეობას მაქსიმალურად აქვს შენარჩუნებული საყრდენი სახელის სემანტიკა და დამატებით იძენს მცირედ ნიუანსს, რასაც განაპირობებს სიტყვის მნიშვნელობაში სტატიკურობის, ან დინამიკურობის სემანტიკის შეტანა. მაგალითად: ნასახელარი ზმნა **<u>გაწითლდა</u>** აღნიშნავს საგნის მიერ წითელი ფერის მიღებას და მას არა აქვს ზედსართავ სახელ **<u>წითელ</u>**-ის მთავარი მნიშვნელობისაგან დაშორებული სემანტიკა; მიმღეობა **<u>დაოთხფეხებული</u>** მომდინარეობს სახელური სინტაგმისაგან **ოთხი ფეხი**. ეს სიტყვა ინფორმატორს ასე განუმარტავს: „ჩალას რო შევკონით, 4-5 კონას ერთათ მოვანგროვეფთ, დავაყენეფთ ფეხზე და ესაა დაოთხფეხება“. იმავე სახელური სინტაგმისაგან მომდინარეობს ნასახელარი ზმნა **<u>დააოთფეხებს</u>**. ორივე სიტყვის სემანტიკა შორს არაა ამოსავალი სინტაგმის მნიშვნელობისაგან, რადგან თანდებულდართული სახელი **ფეხი** როგორც სამწიგნობრო ენაში, ისე ზემოიმერულ კილოკავშიც ფართოდ გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით: **<u>ფეხზე დაყენება</u>** ითქმის იმ საგანზეც, რომელსაც ფეხი რეალურად აქვს და ისეთ ნივთზეც (მაგ., ჩალის კონაზე), რომელსაც ფეხი არ მოეპოვება, მაგრამ დგომის უნარი აქვს; სემანტიკა **<u>გამოკალმამს</u>** ზმნისა გულისხმობს „კალმისაგან ყანის გაწმენდას“ და მას უშუალო კავშირი აქვს სახელთან **<u>კალამი</u>**...

ბ. ნასახელარი ზმნის, მასდარის, ან მიმღეობის სემანტიკა საკმაოდ განსხვავდება საყრდენი სახელის ამოსავალი მნიშვნელობისაგან, მაგრამ ორ მნიშვნელობას შორის ლოგიკურ-ასოციაციური კავშირი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. მაგალითად: მასდარი **<u>აბილიკება</u>** და ზმნა **<u>ეიბილიკებს</u>** ნაწარმოებია **<u>ბილიკი</u>** სახელისაგან. ნასახელარი მასდარი აღნიშნავს „გაგდება“-ს, ხოლო ნასახელარი ზმნის მნიშვნელობაა „გააგდებს“. რა თქმა უნდა, მეორეული მნიშვნელობები შორსაა ამოსავალი სახელური სემანტიკისაგან, მაგრამ მათ შორის ლოგიკურ-ასოციაციური კავშირი ჯერაც საგრძნობია: ადამიანის, ან ცხოველის გაგდება ბილიკზე იძულებით გადაყვანითაც შესაძლებელია; ასეთივე ვითარებაა ზემოიმერულ ნასახელარ **<u>გამოკალმა</u>** მასდარის შემთხვევაშიც, რომელიც ასე განიმარტება: „გამოქნა კალმის ნახაზივით წვრილად“ (წარბებისა) (შდრ. ზემოთ დასახელებული ზმნა **<u>გამოკალმამს</u>**)...

გ. ნასახელარი ზმნის, მასდარის, ან მიმღეობის სემანტიკა რადიკალურად განსხვავდება საყრდენი სახელის ამოსავალი მნიშვნელობისაგან. ამ ჯგუფში ხშირია შემთხვევები, როცა ნასახელარი სიტყვის სემანტიკასა და ამ სიტყვის საყრდენი სახელის სემანტიკას შორის კავშირი ძნელი მოსახელთებელია და საგანგებო ძიებას მოითხოვს. ასეთებია, მაგალითად: **<u>გაგვრიტული</u>** „გაწმენდილი, გასუფთავებული, გალამაზებული“ (საყრდენი სახელია **<u>გვრიტი</u>**), **<u>გამოიფურება</u>** „გამო-

იბუზება, გამოიტუზება“ (საყრდენი სახელია **ფური**), **გაჭრელებული** „ვინც აყოვნებს, აჭიანურებს გადაწყვეტილების მიღებას“ (საყრდენი სახელია **ჭრელი**)...

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ადგილის ზმნისართები სვანურ დიალექტებში

1. სვანური ენის დიალექტებში წარმოდგენილია ადგილის ზმნისართების როგორც ფონეტიკურად, ისე სტრუქტურით განსხვავებული ვარიანტები.

სვანური ენის ყველა დიალექტისათვის, მეგრულ-ლაზურის მსგავსად, დამახასიათებელია ჩვენებით ნაცვალსახელთა და ადგილის ზმნისართთა ორწევრიანი სისტემა, რომელშიც პირველ პირთან სიახლოვის აღმნიშვნელი სიტყვა (ნაცვალსახელი, ზმნისართი) უპირისპირდება მეორე და მესამე პირთან სიახლოვის აღმნიშვნელ სიტყვას (შესაბამისად— ნაცვალსახელს, ზმნისართს).

2. **ამე** „აქ“ პირველ პირთან სიახლოვეს გამოხატავს. **ამე**-ს პარალელურად სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება სტრუქტურულად განსხვავებული **ამეჩუ**. **ჩუ** ელემენტი სვანურისავე ზმნისწინ-თანდებულ **ჩუ**-ს უკავშირდება.

დიალექტებში ხშირია ფონეტიკურად თუ სტრუქტურულად განსხვავებული ფორმები: ბალსზემოური **ამეჩ̄უნ,** ლაშხური ამე**ჩ̄უნენ** (ამეჩუნენ); **ამაჩუ, ამაჩულა** და **ამოჩუ** ბალსქვემოური დიალექტისთვის დამახასიათებელი ვარიანტებია (გ. კაჭარავა).

ბალსქვემოურში დადასტურებული **ამეგ** „აქ“ ზმნისართი თ. შარაძენიძეს რთული შედგენილობისად მიაჩნია.

ამოხ „აქ“ ლენტეხური დიალექტისთვის დამახასიათებელი ზმნისართია,რომელსაც ადგილის აღნიშვნასთან ერთად, მიმართულების გამოხატვაც შეუძლია.

ზმნისართი **ამექა** „აქ“, „ამაზე“, რომელიც ჩვენებით ნაცვალსახელ **ამე**-ზე -**ქა** თანდებულის დართვით არის მიღებული, გავრცელებულია ბალსზემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში.

3. **ეჩე** „მანდ“, „იქ“ ზმნისართი როგორც მესამე, ისე მეორე პირთან მყოფობას გამოხატავს. **ეჩე** სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება; მასზე მეტი სიხშირით გამოირჩევა **ეჩეჩუ** „იქ“ ვარიანტი. ლენტეხურში წარმოდგენილია სტრუქტურულად განსხვავებული **ეჩანჩუ,** ბალსქვემოურში **ეჩთეჩუ, ეჩეჩო, ეჩეილა, ეჩეჩულა...**

ეჩეგ „იქ“ ბალსქვემოურისთვის სპეციფიკური ფორმაა, **ეჩოხ** „იქ“ კი — ლენტეხურისათვის.

4. სხვა ზმნისართებიც („ზემოთ“, „ქვემოთ“, „შიგნით“, „გარეთ“, „წინ“, „უკან“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“, „აქედან“, „იქიდან“ და სხვა) სვანურ დიალექტებში სხვადასხვა ვარიანტებს გვიჩვენებენ.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სვანური ადგილის ზმნისართები ვარიანტულობით გამოირჩევა (იგულისხმება როგორც სხვადასხვა დიალექტებში არსებული მრავალფეროვნება, ისე ერთი დიალექტის ფარგლებში წარმოდგენილი პარალელური ფორმები).

ე ლ ე ნ ე გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი
(თბილისი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი)

ირანული ელემენტების კვლევისათვის ფერეიდნულში

ფერეიდნული კილო უნიკალურია სხვა ქართველურ კილოებს შორის, რადგან მოწყვეტილია მშობლიურ გარემოს, მონათესავე კოლოებს, სალიტერატურო ენას და მაინც განაგრძობს არსებობას ოთხი საუკუნის განმავლობაში. ფერეიდნულის მიხედვით შესაძლებელია „გავითვალისწინოთ, თუ რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტური ყოფის ტენდენციები და როგორ მოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო“ (ა. ჩიქობავა).

უცხო ენობრივი გავლენები ფერეიდნულზე განეკუთვნება ინტერფერენციის რთულ სახეობას, რომელიც მოიცავს მისი ენობრივი სისტემის ყველა დონეს (ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს და სხვ.).

მეტად საინტერესოა ირანული ნასესხობების კვლევა ფერეიდნულში. დღეისათვის არსებული ტექსტობრივი მასალის მიხედვით შე-

საძლებელია ირანული (ანუ, საკუთრის სპარსული, სპარსულ-არაბული და სხვა ირანული დიალექტებიდან მომდინარე) ლექსიკის სისტემური შესწავლა და მისი, როგორც საკუთრივ ფერეიდნულისათვის დამახასიათებელი შეთვისების დინამიზმის — მორფო-ფონოლოგიური ადაპტაციების, გრამატიკული გაფორმების, სემანტიკური ცვლილებების გამოვლენა.

მოხსენებაში წარმოდგენილია სალიტერატურო ქართულთან შედარებით ფონეტიკურად და სემანტიკურად განსხვავებული ირანული ლექსემების (შდრ. ფერეიდ. *ფასოხი*, ქართ. *პასუხი*, ფერეიდ. *ქაღაზები* — „წერილები“, ქართ. *ქაღალდი*; ფერეიდ. *ხაიში* — „თხოვნა“, ქართ. *ხოში*) და ასევე ირანული კალკებისა და ნახევრად კალკების დისტრიბუციული ანალიზი ფერეიდნულში.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

-ჰ და -ს პრეფიქსები თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში

ქართული ენის ისტორიის მანძილზე სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის გამოხატვას სირთულე და პრობლემები ყოველთვის ახლდა. ეს სირთულე ვერ გაამარტივა ახალ ქართულში სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენამ; თანამედროვე ქართულის ვითარება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე იყო. მხედველობაში გვაქვს სალიტერატურო ენისა და დიალექტების ვითარება; განსაკუთრებით ამ უკანასკნელისა. ჩვენ შევეცადეთ საერთო სურათის დახატვას დიალექტოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. მონაცემთა სიზუსტეზე, ცხადია, პასუხს ამ შემთხვევაში ამა თუ იმ დიალექტის მკვლევარი აგებს, ვის ნაშრომებსაც ვემყარებით.

ორგვარ სქემას წარმოვადგენთ: ერთში მოცემულია ვარიანტები S_2O_3 პრეფიქსებისა და მათი გავრცელების არე; მეორე სქემაში ამ ვარიანტთა დამადასტურებელი მაგალითები მოგვყავს.

I ს ქ ე მ ა:

	Ø	ჰ	ს	ზ	შ	ჟ	ხ	ღ	დ	დჰ	დს	დხ	დზ	დშ	ფ
ქართლ.	+	+	+	+	+		+		+	+	+				
კახ.	+	+	+	+	+				+	+	+				
ინგ.	+	+	+		+		+		+						
ფერეიდ.	+	+	+												
ხევს.	+	+	+	+	+	+	+	+							
მთიულ.	+	+	+												
მოხ.	+	+	+	+	+		+	+							+
თუშ.	+	+	+	+	+	+	+	+							
ფშ.	+	+	+	+	+		+				+	+	+	+	
ჯავ.	+	+	+	+	+		+		+						
აჭარ.	+	+	+		+	+	+								
იმერ.	+	+	+				+								
გურ.	+	+	+				+								
ლეჩხ.	+	+	+		+		+								
რაჭ.	+	+	+				+								
კლარჯ.	+	+	+												

გარდა ამისა, კახურში, ინგილოურსა და აჭარულში დადასტურებულია ჰხ, ჰშ და ჰს ვარიანტები; მოხეურსა და ჯავახურში — ჰხ.

II ს ქ ე მ ა:

მაგალითები (ვასახელებთ რამდენიმე შემთხვევას ამა თუ იმ დიალექტიდან):

Ø	აკეთებ, აშენებ, უკეთებ, უშენებ... კითხა, მიწერა (იმერ.)
ჰ	გაჰყვა, მოჰკვდომია... ვჰფქოვდით (მოხ.) აჰტკივდა (აჭარ.)
ს	სძინავს, სწყდება, შესწევდა, გასთავებია..
ზ	მოვზჯარდით (ხევს.), ზდგები (კახ.), გადაზდისა (ქართლ.)
შ	მოშჭრა, გაშჭირებია (ქართლ.), შეშჭამთო (კახ.), გაშჩეხა (აჭარ.)
ჟ	ჟჯობნია, დაჟჯერდა (აჭარ.), ჟჯღვლემს (თუშ.), დაჟჯერდან (ხევს.)
ხ	დახფარავენ (ხევს.), დავხპატიჟე (მოხ.), ხპარავს, ხქონდა (თუშ.), ახკიდებს (აჭარ.)
ღ	წაღლალავს (ხევს.), გავღლესთ (მოხ.), ღნახიდი (თუშ.)
დ	წაედრძანდები, აედგები (კახ.), დაედთანხმდა, დაეკითხა (ქართლ.)
დჰ	აედჰყვა, გაედჰკრა (ქართლ.), ჩაედჰყო (კახ.), დაედჰფქავდენ (ფშ.)
დს	დაესწვდა, წაესწყვიტა (ქართლ.), დაესწვერთ (კახ.)
დხ	ედხყავ, ედხვოცდენ, ედხვნავდა, გდაედხყოლიყო (ფშ.)

ჲზ	გამაჲზძახს (ფშ.)
ჲშ	დაჲშჭყივლა, შაჲშჭამს, დაჲშჭრიდენ (ფშ.)
ф	გაфფხეკ (← გაჰფხეკ) (მოხ.)
ჰს	მიჰსცა, ავჰსწონევით, ავჰსწიე (აჭარ.), მივჰსცემ (ინგ.)
ჰშ	შეჰშჭამდა, გაჰშჭრა, დაჰშჭირდება (აჭარ.), მოჰშჭრა (ინგ.)
ჰხ	ჩაჰხყვეს, მიჰხვდა (აჭარ.), ჰხყიდი, დაჰხხურა (ინგილ.)

სულ დადასტურებულია 18 ფონეტიკური ვარიანტი. ყველაზე მეტი კახურ დიალექტშია წარმოდგენილი (ცხადია, კილოკაური თვალსაზრისითაც არის სხვაობა, მაგრამ ჩვენ ამჯერად ამას ვერ გამოვედევნებით); ყველაზე ნაკლები ვარიანტი კლარჯულში გვაქვს (ესეც შეიძლება იმით აიხსნეს, რომ ეს დიალექტი, თუ დიალექტთა ჯგუფი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი).

ორიოდე შენიშვნა: **ჰ-** და **ს-** პრეფიქსების შემდეგ ყველაზე მეტ დიალექტში **ხ-** პრეფიქსია წარმოდგენილი (ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ **ხ-არ** და **ხ-ვალ / ხ-ვედ** ზმნებს — ხ- პრეფიქსი ამ ზმნებში ქართული ენის ისტორიის ყველა ეტაპზე დასტურდება). ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ამ შემთხვევაში **ხ-** ისეთივე ფონეტიკური პროცესების შედეგია, როგორც სხვა ვარიანტები.

და კიდევ: ძველი ქართულის ძეგლებში დასტურდება ორმაგი გამოხატვა პირისა. როგორც ჩანს, ეს ვარიანტიც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე გვხვდება: საშუალ ქართულში საკმაოდ მრავლადაა; XIX საუკუნეშიც (ილიას ენაშიც) და, როგორც ვხედავთ, დღევანდელ დიალექტებშიც (ჰს, ჰშ, ჰხ). ის ფაქტი, რომ საშუალი ქართულის მონაცემი ორთოგრაფიის პრობლემად მოიაზრება, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სწორედ დიალექტურმა მონაცემებმა: დიალექტებში დადასტურებული ორმაგი პრეფიქსები არ შეიძლება ჩაითვალოს ორთოგრაფიული აღრევის შედეგად...

დაბოლოს, სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები მრავალ კითხვას აღძრავენ... საგანგებო კვლევაა საჭირო ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად...

თ ა მ ი ლ ა გ ო გ ო ლ ა ძ ე
(გორი. სასწავლო უნივერსიტეტი)

დიალექტური ლექსიკა და მწერალი

1. საუკუნეთა მანძილზე ენაში ახალი სიტყვების შემოსვლისა თუ მისი დამკვირდების პროცესს, უპირველესად, მწერალი ამჩნევდა, თვალყურს ადევნებდა. დღეისათვის ეს საკითხი თითქმის მიყურისძირებულია. ამიტომ საჭიროა და საყურადღებო 1922 წელს ჟურნალ „ლომისში“ კონსტანტინე გამსახურდიას პატარა წერილი „ახალი სიტყვები“

2. კ. გამსახურდია ჟურნალ „ხომალდის“ „მებიბლიოგრაფის“ განცხადების საპასუხოდ, შენიშნავს, რომ მას აბრალებენ ბარბარიზმების შემოტანას სალიტერატურო ქართულში. პათოსი ამ წერილისა მხოლოდ ბრალდების გაბათილებას არ ისახავს მიზნად, პირიქით, იგი სალიტერატურო ენის ლექსიკური გამდიდრების გზების ძიებისკენაა მიმართული. მწერალი მოწადინებულია განდევნოს ქართული ენიდან „ის ზედმეტი ბალასტი“, რომელიც საუკუნეების გავლენით, მასში „ჩალეკილა“. პარალელურად კ. გამსახურდია აყენებს „ენის რეპარაციის“ აუცილებლობას „ადგილობრივ დიალექტების ლექსიკის საშუალებით“.

3. მწერალი ცდილობს აჩვენოს, როგორ ხდებოდა საუკუნეთა მანძილზე ბარბარიზმების შემოსვლა-დამკვიდრება ჯერ ინდოეთ-სპარსეთიდან, შემდეგ კიბრუსულიდან. ავტორი შენიშნავს, რომ კიდევ დიდი დროა საჭირო ქართული ენის „უკულტურო ბარბარიზმების დასახვეწად“.

4. კ. გამსახურდიას აზრით, ბევრი ახალი სიტყვის დამკვიდრებისათვის „დაუშრეტელი იდიომური აუზია“ ბერძნულ-ლათინური ენები, ანუ იგი ფაქტიურად აყენებს საერთაშორისო სიტყვების აქედან დამკვიდრებას ენაში. მაგრამ აქვე ენის გამდიდრების ყველაზე უკეთეს საშუალებად ავტორი მიიჩნევს დიალექტური ლექსიკიდან (განსაკუთრებით მეგრულ-სვანური და ფშავ-ხევსურული კილოებიდან) მოძიებული სიტყვების შემოტანის აუცილებლობას, რაც მწერლის პროგრამატივაა, რომელსაც კ. გამსახურდია „ახალი სიტყვების მაყრებს“ უწოდებს.

5. სადღეისოდ მეტად მწვავედ დგას სალიტერატურო ქართულში ბარბარიზმებისა თუ დიალექტური ლექსიკიდან შემოტანის საკითხი. რა-

დიო-ტელევიზია, ბულვარული პრესა თუ, საერთოდ, ქართული ჟურნალ-გაზეთები, საშიშად ანაგვიანებენ ქართულ ენას უსისტემო, სტიქიური, მოდის გავლენით შემოტანილი სიტყვებით. აღნიშნულ საკითხებზე მხოლოდღა ენათმეცნიერები მსჯელობენ, ძველი თუ ახალი თაობის მწერლები კი „ნერგავენ", სტილური სპეციფიკის საბაბით, ბარბარიზმებს, დიალექტიზმებს, ვულგარიზმებს. ამ თვალსაზრისით ასი წლის წინათ მწერლისა და მოქალაქის კ. გამსახურდიას პატარა წერილი „ახალი სიტყვები" მეტად საჭირბოროტო მნიშვნელობას იძენს.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

დიალექტიზმები — როგორც პოეტურ-სტილისტიკური ხერხი მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში

მუხრან მაჭავარიანს გამორჩეულად ძალუძს გარე სამყაროს პოეტურად წარმოჩენა, ყოფითი მოვლენების სალექსო სამოსში გახვევა, ჩვეულებრივი, ნაცნობი სიტყვებისათვის (ხშირად დიალექტური ფორმებისათვის) ახლებური საზრისის მინიჭება და მათი მუსიკად გარდაქმნა:

ბიჭი?!
მართლა?!
აი, მესმის!
აბა, მე არ მგვანებია...
— **რავა**, შენ რა?
— რაღა, **რავა**,
კაცი ჯავრით აღარა ვარ, —
სამი შვილის მამა ვარ და
სამივენი ქალებია.

პოეტისეულ ალღოს ენისას და მის ლექსით მეტყველებას, რომელიც განსხვავებული, მხოლოდ მუხრანისათვის დამახასიათებელი სილაღითა და ნაირგვარობით გამოირჩევა, თავისებურ ელფერს სძენს დიალექტიზმებიც (ძირითადად იმერიზმები). ეს უკანასკნელნი პოეტური ეფექტისა თუ რითმის საჭიროებისათვის გამოიყენებიან ხოლმე ხშირად შემოქმედის მიერ.

ზმნურ ფორმათაგან თვალში საცემია დიალექტიზმების ორი ტიპი: ერთ შემთხვევაში პოეტი იმერული ლექსიკიდან უშუალოდ იღებს ამა თუ იმ ერთეულს და შესაფერის ადგილს უძებნის მას ლექსის სტრიქონში. ხშირად დიალექტური ფორმა, როგორც ითქვა, სარითმო ერთეულსაც წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო მეტი ემოციით აღაქმევინებს მკითხველს სათქმელის აზრსა და შინაარსს:

მე არა ერთხელ გამიგონია
ნატვრა მიწაზე —
სულ ერთ მტკაველზე.
— ახლა თბილისში **გამარონია**
და მერე მომკლა—
აღარ დავეძებ.

სხვა შემთხვევაში ზმნა გამოყენებულია იმერულისათვის დამახასიათებელი ვარიანტით (იმერული გაფორმებით):

გაჟღენთილია სიძველის სუნით
დამძაღებული ოთახის ჰავა.
გარეთ კი უკვე
მზე ამოსულა,
გარეთ კი უკვე
ტყემლები **ჰყვავა**.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ვხვდებით სახელებთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ დიალექტიზმებსაც, როგორიც არის, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან:

მზეი,
იბღავლა მიწამ.
მზემ დაიძახა: — მიწა!

სახელი მოხმობილია წრფელობითის ფორმითაც (რაც დამახასიათებელია ხევსურული დიალექტისთვის):

ხევსურ ჩამოდის ლიქოკით,
მოყმენი ფრანგულს უქებენ...

დიალექტიზმებს ვხვდებით აგრეთვე ზედსართავი სახელების გამოყენებისას:

ვხედავ —
მეზობლის სახლის თავზე გატეხილ კრამიტს.
ვხედავ —
ფოთლებზე თქარათქური გაუდის წვიმას.
ვხედავ —
შარაზე ქალი გარბის **სოველი** კაბით.
ვხედავ —
ქათმები აბუზულან ქლიავის ძირას.

დიალექტური ვარიანტებით დასტურდება ნაცვალსახელებიც:

სულ რამდენიმე,
ორი თუ სამი,
იმედად **ჩემდა**, არსებობს სახლი,
სადაც მე ძალმიძს,
ყოველ დროს ძალმიძს,
მოულოდნელად დავრეკო ზარი.

ან კიდევ:

ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს —
ფრთები მასხია **თქვენგნით**,
მხოლოდ **თქვენგნით** რამეთუ.

დიალექტური ფორმებით წარმოგვიდგება ზმნისართებიც:

გაუმარჯოს ყველას ღმერთმა,
ვინც კი **როსმე**
ქართლის მტერთა
ანგელოზნი დაუფეთა.

სხვა შემთხვევაში:

ყეფდა ნაგაზი.
მწიფდა მთვარე.
ვტოვებდით კუმისს.
წამიღო სევდამ:
არ იცოდე კაცმა ქე მაინც, —
დღეს არა, — **ხვალე**
უკვე ვეღარ დაგირღვევს დუმილს

ხმა
ვერცა მამლის,
ვერცა ძაღლის...

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში განსაკუთრებით მრავლად დაჩნდება კავშირების დიალექტური ფორმები (**თვარა**, **მარა**, **რო**...):

ბრალი მიამიტის, —
დღეს და ჩვენში ისიც,
თვარა მე რა მიჭირს, —
ქვისქვეშ რაა, ვიცი.

მე შენ გეტყვი
არ მეყოფა სიტყვის მარაგი...
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, —
თვარა კი!

ვინმემ,
არცაა გასაკვირი, —
არც იცის იქნებ, —
ქრისტეს შობამდე რომ შეიქმნა ქართული წიგნი...
არა!
ეს ასე რომ არ იყოს,
კიდევ, — ხო, —
მარა!
ასე
რომ
არის?!

ან კიდევ:

თუნდ ერთი მათგან, —
ასე ყინჩად, ვინც გიდგას გვერდით,
რო რამე იყოს, —
წვეთს სისხლისას გაიღებს შენთვის?!
ეჰ... შენი მტერი არაა მეტი.

სხვა შემთხვევაში:

ვინ?! —
ხელოსანი ვამჯობინო ხალას ხელოვანს?
ბნელა? —

თუ ბნელა? —
კი, ბატონო!
მაგრამ დღე **როა**?

დასტურდება აგრეთვე **უე** ნაწილაკი (რომლითაც გადმოცემულია სუბიექტის სიმრავლე):

რამდენი რამე იყო **უე**
კარგი და ჩემი ურგები.

იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი **იმე** ფორმით ხშირად გამოხატულია გაკვირვების სემანტიკა:

მაგონდება:
ზამთარია.
თეთრი,
თეთრი ზამთარია.
სტუმრებს ველით, —
ვღელავთ:
— **იმე**,
თუ მოდიან, —
სად არიან?!

დიალექტური ფორმებით წარმოჩნდება ზოგჯერ პოეტისეული იუმორიც:

გრიალებს ტაში.
ზეცას ანგრევს ტაშის გრიალი.
პატიოსნება ძეგლიგია დღეს კაჟიანი.
ხმა ისმის ზოგჯერ ტაშის ხმაში ხამუშ-ხამუში:
— სად **არი**, **თვარა**, **კაი** კია სინდის-ნამუსი.

ან კიდევ:

კვლავაა, ვით იყო, საწუთრო ალუბლური:
შეხედავ — ბალია!
იგემებ, — ტყემალი!
რამდენი კაცია მის მიერ დაღუპული!
ჯანდაბას!
უდროოდ არ გვხოცდეს **ქე** მაინც.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში დიალექტიზმები წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი პოეტურ-სტილისტიკური ხერხი (მხედველობაში გვაქვს ძირითადად იმ ტიპის შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმა სარითმო ერთეულსაც წარმოადგენს ამავდროულად), როცა სათქმელის შინაარსი და მისი ბგერობრივი სამყარო (ამ შემთხვევაში დიალექტიზმები) ისე ბუნებრივად არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი, რომ ცალ-ცალკე ვერც კი აღიქმებიან — მკითხველიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხდება მისი პოეზიის თანაზიარი:

დღეს ჯიხვის რქაში მე ვტენი ვარამს,
ამაოდ ვტენი, როგორც შენ გუშინ...
მე, მე ვიკითხო, მე რა ვქნა. **თვარა**
შენ რა ხანია გაქვს თავი ქუდში (მიმართავს მუხრანი ვაჟას).

მუხრან მაჭავარიანის სტიქიაა სამშობლოს ხატი — პოეტურად აღბეჭდილი. აქ პოულობს იგი ტკივილისა თუ აღმაფრენის უსაზღვრო შესაძლებლობებს... ბუნებრივია, საქართველოს ძნელბედობის დროს მუხრან მაჭავარიანი მხოლოდ პოეტად ვერ დარჩებოდა. მან მომავალ თაობებს გადაურჩინა ეროვნული თვითშეგნება... ამ დიდი საზრისის — სამშობლოს განცდის — ბგერობრივ სამოსში მოსაქცევად დიდმა მუხრანმა სხვა პოეტურ აღკაზმულობასთან ერთად დიალექტიზმებსაც მოუხმო:

საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და, მერე, კაცი **რავარი**! —
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.

მ ა რ ი ნ ე კ ა კ ა ჩ ი ა , ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი ,
მ ა რ ი ნ ა ჯ ღ ა რ კ ა ვ ა
(თბილისი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკონის შედგენისათვის

1. ტექნოლოგიურმა მიღწევებმა დღის წესრიგში დააყენა სამეცნიერო მასალისა და ინფორმაციის ელექტრონულ სივრცეში ინტეგრირების აუცილებლობის საკითხი.

თანამედროვე ეტაპზე ქართული ელექტრონული ლექსიკოგრაფიული ბაზის შესაქმნელად უაღრესად აქტუალურია ქართულ-სვანურ-მეგრულ-ლაზური ელექტრონული ლექსიკონის არსებობა. ტექნოლოგიურ მიღწევათა საფუძველზე ასეთი ტიპის ლექსიკონის შექმნა ახალი სიტყვა იქნება ლექსიკოგრაფიაში. მკვლევართა შორის დიდი ხანია არსებობს მოთხოვნა (პრაქტიკული და სამეცნიეროც) დღემდე ანალოგის არმქონე ქართულ-სვანურ-მეგრულ-ლაზურ ლექსიკონზე. ამ ნაშრომს ექნება უდიდესი პრაქტიკული და სამეცნიერო ღირებულება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტებისათვის (ლინგვისტებისათვის, კავკასიოლოგებისათვის, სოციოლოგებისათვის, ეთნოლინგვისტებისათვის.)

2. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევისათვის თხუთმეტსაუკუნოვან წერილობით ძეგლებთან და დიალექტურ მასალასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ენათა — სვანურის, მეგრულ-ლაზურის მონაცემებს: „სვანური ენა, ისევე როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობით ძეგლებში“ (კ. დონდუა).

დიდია არქაიზმებით გამორჩეული სვანური ენისა და მეგრულ-ლაზურის მონაცემთა როლი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისა და არქეტიპთა რეკონსტრუქციისათვის. როგორც ცნობილია, სტრუქტურულად სვანური საკმაოდ ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძე ენასთან. მისი რთული ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული თავისებურებანი და დიალექტური ნაირგვარობა განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

3. დღემდე არ გაგვაჩნია სვანური, მეგრულ-ჭანური განმარტებითი და ქართულ-ზანურ-სვანური სრული შედარებითი ლექსიკონები.

მცირე გამონაკლისის გარდა ამ ლექსიკონების შექმნა - გამოცემა, (ელექტრონული ვერსიითურთ) და მათი ანალიზით მიღებული შედეგები კიდევ ერთხელ სიღრმისეულად და საფუძვლიანად ცხადყოფდა მეცნიერულ ჭეშმარიტებას სვანურ-ზანურის ქართული ფუძე ენიდან გამოყოფის რეალობის თაობაზე, უფრო ნათელ წარმოდგენას შექმნიდა ქართველურ ენათა დიფერენციაციის შესახებ.

სვანურ-მეგრულ-ლაზურ განმარტებით ლექსიკონი (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიებით) უცილობლად შეიქმნება მესაძირკვლედ დღემდე არარსებულ ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის აკადემიური გამოცემისა. (გ. მაჭავარიანის „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“ მხოლოდ და მხოლოდ სალექციო კურსია).

4. ლექსიკონის შედგენის (აგების) სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ლექსიკურ ერთეულებად აღებული იქნება ყველა მეტყველების ნაწილი: სახელები სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნა-მასდარის ფორმით: (პირიანი ფორმით მხოლოდ დეფექტური და თავისებური ზმნები იქნება წარმოდგენილი)
- ლექსიკონში აისახება სვანურ-მეგრულ-ლაზურის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილებიც: ზმნიზედა, კავშირი, თანდებული, შორისდებული, ნაწილაკი და სხვადასხვა საწარმოებელი აფიქსები.
- ცალკე ლექსიკურ ერთეულებად იქნება წარმოდგენილი ომონიმები.
- ლექსიკონში არ შევა: ა) ტოპოპონიმები და ანთროპონიმები
  ბ) სათაკილო სიტყვები
  გ) ფრაზეოლოგიზმები
- ლექსიკონი ოთხენოვანი იქნება: ქართულ-სვანურ-მეგრულ-ლაზური.

ლექსიკონის შემდგენელთა მიერ გათვალისწინებული იქნება ქართველურ ენათა შესახებ დღემდე არსებული ყველა ლექსიკონი (არნ. ჩიქობავა: ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი; ბ. ნიჟარაძე: ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი; ვ. თოფურია, მ. ქალდანი: სვანური ლექსიკონი; ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი: ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი; ო. ქაჯაია: მეგრული ლექსიკონი; ჩ. გუჯეჯიანი, ჰ. პალმაიტისი: სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, მ. ჩუხუა: ქართველურ ენა-კოლოთა შედარებითი ლექსიკონი...)

ქეთევან მარგიანი-სუბარი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

პირობით-შედეგობითი ზმნური ფორმები სვანურში და მათი სემანტიკური მიმართება ძველი ქართულისა და მთის დიალექტის მონაცემებთან

1. სვანურ ზმნის გარდამავალ და მედიოაქტიურ უპრეევერბო ფორმათა უღლებაში დასტურდება პერფექტული მწკრივები (პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II), რომელთა ბადალი მონაცემები თანამედროვე სალიტერატურო ენას არ მოეპოვება.

საანალიზო ფორმებში, ერთი მხრივ, ნათქვამის მიმართება სინამდვილისადმი ვარაუდის, შესაძლებლობის, დაუზუსტებლობის გამომხატველია, ეპისტემიკურია. ისინი მხოლოდ მოქმედების დაუდასტურებლობის (სავარაუდოობის) ნიუანსით უპირისპირდებიან ნამყოს სხვა დროებს: წყვეტილი: **ანშხე̄ბ** „შეკერა (მან ის)“ — პირობითი: **Აშხბუნრ̄ლ** „[იქნებ] კერავდა (ის მას) — შედეგობითი I: **ხოშხბა** „უკერავს (მას ის) — შედეგობითი II: **ხაშხბᲐ̄ნ** „ეკერა (მას ის) **პირობით-შედეგობითი** I: **ხეშხბი** „**იქნებ** შეუკერავს (მას ის)“ — **პირობით-შედეგობითი** II: **ხეშხბრ̄ლ/ხეშხბიუ̄** „**იქნებ** ეკერა (მას ის)“; როგორც აღმოჩნდა, ქართულში მსგავს ვითარებაში მოდალური სიტყვები მოიშველიება, სვანურში კი აღნიშნული სემანტიკა სინთეზურ ფორმებშია ჩადებული (მათი აღწერითი ვარიანტები თავად სვანურში უდრის: **I და II შედეგობითის ფორმები** + ნაწილაკი **მგრ̄ეს** (ბზ.), **მ'Აუშ̄ული** (ბქ.) „ალბათ“);

მეორე მხრივ, მოცემულ ზმნებს პრეევერბიანი ფორმები არა აქვთ; სწორედ ამიტომ ისინი დიურატიულობას გამოხატავენ და ექსპერიანციული მნიშვნელობისანი არიან, რაც გულისხმობს სწორედ დროის განსაზღვრულ მომენტთან კავშირის უქონლობას.

2. საანალიზო ფორმებში **ნიუანსურად** პირობითობა-ხოლმეობითობის სინთეზია წარმოდგენილი და მათი სემანტიკა ძალზე მოგვაგონებს ძველი ქართულის III ხოლმეობითს (ა. შანიძე): **ე-თეს-ი-ს**: „მოიმკის, სადაცა იგი ეთესის“, შდრ. **ხ-ე-ლᲐშ-ი** „უთესია (მას ის) იქნებ ხოლმე“ ანუ „დანათესი ექნება“; **ე-ვნ-ი-ს**: „ხოლო უძლურისა მისგან, რომელსა არა ევნის მისდა, პირი გარემიიქცის“, შდრ. **ხ-ე-მᲐუ̄ინ-ი** „უვნია იქნებ ხოლმე“ ანუ „ნავნები აქვს მას მისთვის“... ასევე ხევსურულ დიალექტში ავთანდილ არაბულის მიერ დადასტურებულ III ხოლმეობითის მოქმედ ფორმებს (**ეთქვის, ეუბნის, ეჩოლაგის, ეკვეხინის, ეჭამის, მეძახინნიან**...);

3. ეს მონაცემები ხოლმეობითის შთაბეჭდილებას ტოვებენ ფორმობრივადაც; სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, მართალია, „ხოლმეობითი, როგორც გრამატიკული კატეგორია, დღევანდელ სვანურში აღარ გვაქვს, მაგრამ ძველად უნდა გვქონოდა. ხოლმეობითის ნაკვთი დღემდე შემოგვენახა **აᲐნ-ი** „ხნავს“, **ᲐᲨხ-ი** „წვავს“ ტიპის ზმნებში“ (არნ. ჩიქობავა); სვანური მყოფადუსრულის **-ი** სუფიქსი „**ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც აწმყოს -ი, წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი**“ (გ. მაჭავარიანი);

საანალიზო ფორმები სტატიკურ ზმნათა მყოფადის (**ხეხტᲐუ̄ი** „ეხატება“) ინვერსიაქმნილ ფორმებად მიგვაჩნია, სადაც ასევე ფიგურირებს სუფიქსი **-ი;**

4. თუკი „ძველ ქართულში III ხოლმეობითი II თურმეობითთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ხოლმეობითი II ნამყო ძირითადთან“ (ა. არაბული), შეიძლება ითქვას, რომ სვანურში I და II პირობით-შედეგობითის ფორმები I და II შედეგობითთა უპრეევერბო ფორმებთან სემანტიკურ ოპოზიციას ქმნიან **მხოლოდ ინფერენციულობით**: პირობით-შედეგობითი I: **ხემი** „**იქნებ** (/**ალბათ**) უჭამია (ნაჭამი აქვს ერთხელ მაინც ან არასოდეს)“ — უპრეევერბო შედეგობითი I: **ხომა** „უჭამია (ნაჭამი აქვს ერთხელ მაინც ან არასოდეს)“, პრეევერბიან ფორმებთან (შედეგობითი I: **ლოხმამა** „შეუჭამია“) კი — **ხოლმეობითობის შინაარსითაც**; ხოლო, თუკი ხევსურული III ხოლმეობითი დღეს ევიდენციალობასა და ხოლმეობითობას გამოხატავს ერთდროულად (**ეთქვის** „უთქვამს მას ის **თურმე ხოლმე**“), სვანური პირობით-შედეგობითი ეპისტემიკურობა-ხოლმეობითობის სემანტიკურ სინთეზს წარმოადგენს (**ხექᲐუ̄ი** „უთქვამს მას ის **იქნებ ხოლმე**“).

ო მ ა რ მ ე მ ი შ ი ში
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

რედუპლიკაცია ლაზურში

ლექსიკურ ერთეულთა რედუპლიკაცია წარმოქმნის ერთ-ერთი სახეა. სიტყვის გაორკეცება, განმეორება გამოსახვის სტილისტიკური საშუალებაცაა. მას მიმართავენ მნიშვნელობის გასაძლიერებლად, ზოგჯერ კი მორფოლოგიური ფუნქციაც აქვს (ქ. ლომთათიძე).

დადგენილია, რომ რედუპლიცირებული ფუძეებით გამოიხატება მრავლობითობა, კრებითობა, ინტენსიობა.

ლაზურში რედუპლიცირებული ფუძეები შედარებით მცირეა და მეტწილად ქართულის წესს მისდევს.

ზედსართავ სახელთა რედუპლიკაცია მრავლობითობას გამოხატავს. გაორკეცება თითქმის აუცილებელი ხდება, თუ საზღვრული საზოგადოდ მრავლობითობას ვერ აწარმოებს (ა. შანიძე): **ტუცა-ტუცა** (ცხელ-ცხელი), **აღანი-აღანი** (ახალ-ახალი)...

ზედსართავის ფუძის გაორკეცებით გამოიხატება აღმატებითი და ოდნაობითი ხარისხი (არნ. ჩიქობავა): **ხომულა-ხომულა** (ხმელ-ხმელი), **მკულე-მკულე** (მოკლე-მოკლე)...

რიცხვითი და არსებითი სახელების განმეორება გამოხატავს განაწილებითის ფუნქციას (ფრ. ნაისერი): **სუმ-სუმ** (სამ-სამი), **ვით-ვით** (ათ-ათი)...

ინტენსიობის ფუნქცია აკისრია ზმნათა რედუპლიკაციას: **მოხთუ-მოხთუ** (მოვიდა-მოვიდა), **ღაღალუ-ღაღალუ** (ილაპარაკა-ილაპარაკა)...

ინტენსიობისა და მრავალგზისობის გამომხატველია მასდარის რედუპლიკაცია: **ოკითხუ-ოკითხუთენ** (კითხვა-კითხვით), **ოჭარუ-ოჭარუთენ** (წერა-წერით)...

არაიშვიათად არსებით სახელთა გაორკეცების შედეგად სიტყვა ზმნისართის ფუნქციას იძენს: **ოფუტე-ოფუტე** (უბან-უბან), **მზოღა-მზოღა** (ზღვა-ზღვა)...

რედუპლიცირებულ ფუძეთა ბგერითი შედგენილობა მრავალფეროვანია:

სეგმენტთა თავკიდური და ბოლოკიდური თანხმოვნები იდენტურია: **ჭოხ-ჭოხი** (ერთგვარი ჩიტი), **ღორ-ღორი** (ძალიან მოხუცი), **კაპ-კაპი** (ავი სული)...

სეგმენტთა თავკიდური თანხმოვნები არაიდენტურია: **კოჩი-მოჩი** (კაცი-მაცი), **ბიგა-მიგა** (ჯოხი-მოხი)...

რედუპლიცირებულ ფუძეებში ხდება ხმოვანთა შენაცვლება, კომპლექსის გამარტივება, დისიმილაცია, ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვა...

მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ა ძ ე
(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

იმერიზმების ადგილისათვის თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედებაში

1. თეიმურაზ ლანჩავას ენის თავისებურებათა შესწავლისას გასათვალისწინებელია მწერლის თანამედროვე სალიტერატურო ენის ნიშანთვისება და მისი ადგილი სალიტერატურო ენის განვითარებაში. დიალექტური ფორმების (ძირითდად იმერიზმები, ნაწილობრივ გურულისათვის დამახასიათებელი ერთეულები) ხშირი გამოყენება მწერალმა შეძლო მხატვრული ტექსტის მეშვეობით. მის მიერ ლიტერატურულ ენაში შემოტანილი სიტყვები იმერული დიალექტის სარეზერვო ფონდშია დაუნჯებული. თეიმურაზ ლანჩავას მხატვრულ თხზულებებში წარმოჩენილ სიტყვათქმათა საფუძველი სწორედ დიალექტური ლექსიკაა, ზოგჯერ ა ქართველური ენობრივი ნიმუშებიც.

2. მწერლის ენაზე მუშაობის დროს ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფება მოვახდინეთ შემდეგი პრინციპით;

ა) გამოვყავით დიალექტიზმებად მიჩნეული არქაული ფორმები (მაგალითად გვიმი, ბუჯერი, ტყლაპშია, მანჭვალი და ა.შ.).

ბ) იმერულ დიალექტში დაუნჯებული ის სიტყვები, რომლებიც იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით სხვა დიალექტებშიც გვხვდება და საკუთრივ იმერიზმები, რომლებიც მწერლის შემოქმედებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია (იღლიტება, იქაქება, იქინდრება, იხუნტრუცებს, იძღინკება, იჯღვარკება, ლაბზიანი, ლეჭო, კოხრო, კულუმბური, კრუხნა...).

გ) სიტყვები, რომლებიც არ დასტურდება დღეს არსებულ ლექსიკონებში

(ყეჟრა, ქვიჯაშკინა, დეიძღვინკება, გოთოშია, გეიკვირიკებს...).

3. მოხსენებაში მოტანილია ვრცელი საილუსტრაციო მასალა, რომელიც გაანალიზებულია და ნაჩვენებია სალიტერატურო ენის გამდიდრება-სრულყოფაში მწერლის როლის შესახებ

ციალა ნარაკიძე
(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ლაზური სალექსიკონო მასალა

1. ხელვაჩაურის რაიონის სოფლების (სარფი, კვარიათი) მცხოვრებთა მეტყველებაზე ჩვენ მიერ უშუალო დაკვირვების შედეგად მოპოვებულია სალექსიკონო მასალა, რომელიც ფიქსირებული არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში.

   რამდენიმე ნიმუში: ოსურჭკორი (გათხოვილი ქალიშვილი), ღონიკონი (მამისეული ოჯახი გათხოვილი ქალისათვის), ხერგელი (არაფრის შემძლე), ხორატე (ძუნწი), ომჭიუ (გასუფთავება), გეთანაპიჯი (განთიადი), ჭაფალა (თევზის სახეობა), ცხილი (ახლადგამოჩეკილი აბრეშუმის ჭია), ქუქუდა (აბრეშუმის პარკი), მწკუი (ჯარა) და ა.შ.
2. ლაზური დიალექტური ლექსიკის სიმდიდრე თავს იჩენს, აგრეთვე საინტერესო ფრაზეოლოგიური ერთეულების ხმარებაში. მაგალითად: „გუი ქომუხთუ“ — გულზე მოხვდა (ქომეშვაბღუ — გაბრაზდა); „ცაქ თოლი ქაგონწკუ“ — ცამ თვალი გაახილა (გამოიდარა — ქაგონთანუ); „ხე გუნთხუ“ — ხელი გაუწოდა (ნუშოლუ-დაეხმარა)...
3. მდიდარი და მრავალფეროვანია ლაზური ანდაზების ლექსიკაც. ანდაზებმა შემოგვინახეს ისეთი ტერმინები, რომლებიც თითქმის დავიწყებას მისცემია და იხმარება მხოლოდ ლაზთა გაბმულ მეტყველებაში: გოლა — მთა, დობადონა — სამშობლო, ღორმოთი — ღმერთი, მანებრა — მეგობარი, მჭოხა — მკვახე, ორა — დრო, მუმქუი — უმადური... „გოლა მაღალა რენ, თუთა მაღალა რენ, ღორმოთი მაღალა რენ, მარა დობადონა ირი ხოლო რენ“ — მთა მაღალია, მთვარეც მაღალია, ღმერთიც მაღალია, მაგრამ სამშობლო ყველაფერია; „აღნე მანებრა ძირა, მჯვეში ვა გუიჭკვენდინა“ — ახალი მეგობარი ნახო, ძველი არ დაივიწყო; „მთინი ნენა მჭოხა რენ“ — მართალი სიტყვა მკვახეა; „ორა მუშის ვა მეწილაში შუკათი იბადენ“ — თავის დროზე კიტრს თუ არ მოწყვეტ, ისიც ბერდება; „მუმქუი კოჩიკალა მანებრობა ვა იყვენ“ — უმადურ კაცთან მეგობრობა არ შეიძლება.

ნიკოლოზ ოთინაშვილი
(გორი. სასწავლო უნივერსიტეტი)

სოფელ თიღვის ონომასტიკონი

ზემო ქართლის კულტურულ-მწიგნობრული კერები ძველი დროიდან იყო ცნობილი. ისინი ძირითადად განთავსებულია მთისწინეთში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თიღვის სამონასტრო კომპლექსი, რომლის დღემდე მოღწეული ონომასტიკური მასალები და მათი გამომზეურება საშური საქმეა.

სოფელი მდებარეობს ფცის ფრონეს ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს, შემაღლებულ ადგილზე. სოფელში დგას შუა საუკუნეებში აგებული ტაძარი და კომპლექსი, რომელიც აუგია დავით აღმაშენებლის ასულს თამარს. ჩრდილოეთის მხარეს, სარკმლის თავზე, მოთავსებულია ფიქალქვა ასომთავრულით შესრულებული წარწერით, ორ სვეტად, რომელშიც მოხსენებულია მონასტრის ამშენებელი თამარ დავითის ასული. როგორც აღნიშნული წარწერა, ისე ისტორიული წყაროები საშუალებას გვაძლევს თვალნი გავადევნოთ მხარისა და სოფლის ონომასტიკას, მის ცვალებადობას, დღევანდელ ვითარებას, დიალექტურ მოვლენებს.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ ასახელებს სოფელ თიღვას, მის ამშენებელს, პუნქტი აღნიშნული აქვს შრომას დართუ-

ლი სოფლების სიაში, ასევე დატანილი აქვს თავის შედეგნილ რუკაზე. ამავე მეთვრამეტე საუკუნეში იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ფცის წყალზე თიღვას აღნიშნავს, როგოროც „მოსახლეს“.

თიღვის ონომასტიკური მასალები წლების წინათ გვაქვს აღწერილი. დღევანდელი ვითარებით იქ შესვლა და გადამოწმება გართულებულია, რადგან თიღვა და სხვა სოფლები სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა მოქცეული. ამიტომ იქიდან წამოსულ მოსახლეობას ძირითადად გორისა და ქარელის რაიონების სოფლებში ვხვდებოდით დაზუსტების მიზნით.

1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ მიხედვით თიღვა დიდი სოფელი ყოფილა. იმდროინდელი ანთროპონიმებიდან დღეს აღარ გვხვდება: ბურნაძე, წერეთელი, გამცემლიშვილი, კოპაძე, მამუკიშვილი, ონოფრაშვილი, ბეჟიტაშვილი. გოდერძაშვილი, ამილბარაშვილი, სეხნიაშვილი, თანდილაშვილი. ივანეშვილი, მუმლაძე, ხიხაძე, ჩარექაშვილი და სხვები.

დღეს სახლობენ: ჯახველაძეები, მოსულები არიან ზემო ითხვისიდან, გამრეკელაშვილები ჳ ზესტაფონიდან, წიწვიანიძე, დღეს გვხვდება ნინიკურის გვარით, გვარი მესხი მოსულია ამავე ხეობის სოფელ ახალშენიდან, მაისურაძე რაჭის სოფელ წედისიდან, სამხარაძე ჳ შროშადან, ვახტანგაშვილი ჳ ახალციხიდან. ასევე სახლობენ: გაბათაშვილი, ლანჩავაშვილი. კონიაშვილი, ოსიტაშვილი, ლაჭვრიშვილი, ლაცაბიძე.

გადაშენებული გვარებიდან სოფელში დარჩა ტოპონიმები: ბურნაძიაანთ ხევი (ბურნაძე), ბასანიძეების საყდარი (ბასანიძე), აღსაბაძის მიწა (აღვსებაძე), ეწოდება ჩარექაულიც, ბეგიაანთ მამულები (ბეგიაშვილი), წერეთლიაანთ მამულები, იგივე წერეთელისეული ჳ თიღვის ჩრდილოეთ უბანში, ეწოდება ალიბრიც. ამილბარაშვილისეული ეწოდება საძოვარს თიღვის აღმოსავლეთით.

ტოპონიმურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება: უბანი, წყარო, ახო. მაგალითად: ოსიტაანთ უბანი, ქელეხსაანთ უბანი, ნინიკურიაანთ უბანი, ნადირაანთ უბანი, ჯაბიაანთ უბანი. ლაზიკაანთ წყარო, ბეღლების წყარო, ლანჩავაანთ წყარო, საყდრის წყარო, სათავეს იღებს თიღვის ტაძრის საძირკველში, დალაქიაანთ ახო, ლაცაბიძიაანთ ახო, ყუთიაანთ ახო...

მოხსენებაში წარმოვადგენთ ონომასტიკური ერთეულების ენობრივ და ისტორიულ ცვალებადობას, იმერულ და ქართლურ ლექსიკურ ერთეულებს.

მ ე დ ე ა ს ა ღ ლ ი ა ნ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის (ფ̌ითინ/უთინ/ითინ/ᲫᲗᲘᲜ/ᲗᲘᲜ/ᲚᲗᲘᲜ) შესახებ

1. სვანეთში, როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაა ცნობილი, ჩვენამდე მოღწეული წარმართული ხასიათის სამლოცველოს მიწისზედა ნაგებობის ერთ-ერთ ძირითად ტიპს **ფ̌ითინი||ითინი** წარმოადგენს, რომელსაც აგებდნენ როგორც საკულტო ადგილზე, ასევე მთის უღელტეხილებსა და გადასასვლელებზე, სანადიროებში, სახლებში და ა. შ. (მ. მაკალათია).

2. ქრისტიანულ ეკლესიათა დიდი ნაწილი, ცნობილ მკვლევართა თვალსაზრისით (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი...), აგებულია წარმართულ სამლოცველოთა ადგილზე, რაზეც მეტყველებს სვანეთის ზოგიერთ თემში (უშგულში, მულახში, წვირმიში, ელიში, ადიშში...) ქრისტიანულ სამლოცველოთა გვერდზე შემორჩენილი ზემოდასახელებული უძველესი წარმართული სამლოცველო **ფ̌ითინი||ითინი**, რომელიც სვანური ენის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით დასტურდება:

ბზ. **ფ̌ითინ/ითინ/ᲫᲗᲘᲜ**, ბქ. **ᲗᲘᲜ/ᲚᲗᲘᲜ**, ლშხ. **უთინ**, **ფ̌ითინ**, **ᲗᲘᲜ**[2], ლნტ. **ფ̌ითინ**, ჩოლ. **უთინ**, **ითინ** „ნიში სალოცავ ადგილზე, ბორძიკით აშენებული სენიანი შენო, რომელშიც ასვენებდნენ ჯვარს ან ხატებს“.

მოხსენების ძირითადი მიზანია აღნიშნული საკულტო ტერმინის როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, ასევე მისი გენეზისის გარკვევა.

---

[2] ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ აღნიშნული ტერმინი, რომელიც სვანური ენის ყველა დიალექტშია გავრცელებული, მხოლოდ ლაშხურისთვისაა მითითებული (როგორც ჩანს, ან შემთხვევითაა გამორჩენილი, ან ავტორებს სათანადო მასალაზე ხელი არ მიუწვდებოდათ).

3. როგორც ცნობილია, იოსებ ყიფშიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ერთმანეთთან შეაპირისპირა ქართული **თენ**-ებ-ა; გან-**თენ**-ა („გათენდა“) და მეგრული **თან**-აფ-ა („თენება; განთიადი; აღდგომა); გო-**თან**-დ-უ („გათენდა“); გო-**თან**-ელ-ი („გათენებული“) ფორმები, ხოლო არნოლდ ჩიქობავამ გამოავლინა ლაზური ექვივალენტი **თან**-აფ-ა („ნათება; თენება“); **თან**-უ-ნ („ანათებს“); ქო-დო-ლო-**თან**-უ („გაანათა“); მ-**თან**-ურ-ა („ციცინათელა“); დო-ლო-**თან**-ერ-ი („განათებული“); დო-**თან**-ურ-ი („განთიადი“). შემდგომში ქართულ-ზანურ შეპირისპირებულ მასალას, მიუხედავად ქართული და სვანური ფუძეების სემანტიკური სხვაობისა, გიორგი კლიმოვის მიერ დაემატა სვანური ენის მონაცემებიც**:** ლი-**თნ**-ე („დაბადება; გაჩენა“); ა-ხ-**თენ**-ან („გაუჩნდა“); ლგ-**თნ**-ე („გაჩენილი“; შექმნილი“); ლი-**თენ**/ლი-**თნ**-ე („გამოჩენა“); ო-ხ-**თენ**-ი („გამოვჩნდები“); ქა ი-**თნ**-ე („გამოიჩენს“); ლე-**თნ**-ე („გამოსაჩენი“...). მანვე ***თენ**- და ***თენ**-/**თნ**- არქეტიპები აღადგინა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისთვის, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***თენ**- არქეტიპი და ***თენ**-ებ-ა.

იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი კლიმოვისეული დაკავშირება საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დამაჯერებლადაა მიჩნეული.

ამ რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილ იქნა განსხვავებული დაკავშირება: სვანური **ლე̄-თ** (ბზ., ლშხ.), **ლე-თ** (ბქ., ლნტ.) „ღამე“, **ლე̄-თ-ი** (ბზ., ლშხ.), **ლე-თ-ი** (ბქ., ლნტ.) „წუხელ“ : ქართული **თ-ევ**-, **თ-ენ**-, მ-**თ-ენ**-ი, სა-**თ-ევ**-ი : ზანური **თ-ან**- „თენება“, ო-**თ-ან**-უნ-ან-ს „ღამეს ათევს“, გ-ი-ფ-**თ-ან**-ე „ღამე ვათიე“, **თ-ან**-აფ-ა „აღდგომა“ (მ. ჩუხუა), რომელიც, ავტორის თვალსაზრისით, არ გამორიცხავს ქართ. **თ-ევ-/თ-ენ**- : ზან. **თ-ან**- : სვან. **თ-აუ̄**- „გაჩენა“ ფუძეთა ერთიანობას (ზ. სარჯველაძე). იგი მხოლოდ მის შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირზე მიუთითებს სვანურ **ლე̄-თ/ლე̄-თ-ი** „ღამე, წუხელ“ ლექსემებთან — სვან. **თ**- „თევა“ → ლე̄-**თ**(ი) „სათევი“ → „ღამე“ (მ. ჩუხუა).

4. ჩვენი დაკვირვებით, რეკონსტრუირებულ ***თენ**- ***თენ**-/**თნ**- ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული სვანურში საყოველთაოდ გავრცელებული უძველესი საკულტო ნაგებობის, სალოცავი ნიშის, სახელწოდებით ცნობილი ტერმინი **უ̄ითინ/უთინ/ითინ/გთინ/ჲგთინ/ლგთინ**, რომელშიც -**თინ** ძირი გამოიყოფა და სემანტიკურად იგივეა, რაც მიჩენილი, მითითებული ადგილი.

5. სვანურში გავრცელებულ სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებიდან ამოსავალ ფორმად მიგვაჩნია ბალსქვემოური ნამყო მიმღეობის ფორმა **ლგ-თინ** „მიჩენილი, მითითებული“, რომლისგანაც ჩანს ნაწარმოები დანარჩენი ფონეტიკური ვარიანტები შემდეგი საფეხურების გავლით:

ლგ-თინ →
- ბზ. **ჲგ-თინ** > ბქ., ლშხ. **გ-თინ**
- * **ლუ-თინ** > ლშხ., ჩოლ. **უ-თინ** > ბზ., ლშხ., ლნტ. **ᲣᲘ-თინ** > ბზ., ჩოლ. **ი-თინ**.

6. ვფიქრობთ, სოფელ ცხუმარში დაფიქსირებული ერთ-ერთი ცნობილი მთის სახელწოდება **ლგთლერ**-ს სწორედ საერთოქართველური რეკონსტრუირებული ***თენ**- ***თენ**-/**თნ**- ძირი უნდა დასდებოდა საფუძვლად, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მთაში რამდენიმე ასეთი ნიშია ბუნებრივად აღმართული და იქვე გვხვდება ნაეკლესიარიც — **ჯგგრაბ ლგთლერ** „ლუთლერის წმინდა გიორგი“, რომელიც უფრო ამყარებს ჩვენს ვარაუდს.

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ჩვენებურების მეტყველება როგორც სოციოლინგვისტური კვლევის ობიექტი

1. ჩვენებურების მეტყველება წარმოადგენს სოციოლინგვისტიკისათვის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს, როგორც მაგალითი დიალექტური ქვესისტემისა, რომლის განვითარება წარიმართა ნაციონალური ენისაგან — სალიტერატურო ენისა და დიასისტემებისაგან — იზოლირებულად, უცხოენობრივ გარემოცვაში.

სოციოლინგვისტური შესწავლა გულისხმობს თურქეთელ ქართველთა მეტყველების განხილვას ბილინგვიზმის კუთხით: ქართული („გურჯული“) და თურქული ქვეკოდების (სუბკოდების) საკომუნიკაციო ფუნქციების გამიჯვნას; სამეტყველო სიტუაციაში ამ სუბკოდების მონაცვლეობის ფაქტორებისა და კანონზომიერების ძიებას; ორენოვნებით გამოწვეული ინტერფერენციული პროცესების გამო-

ვლენას სხვადასხვა ენობრივ დონეებზე ორივე მიმართულებით — ბილინგვთა როგორც ქართულ, ისე თურქულ მეტყველებაში და ა. შ.; მიღებული შედეგების ტიპოლოგიურ განზოგადებას.

პარადოქსია, მაგრამ ჩვენებურთა მეტყველების არსებობას საფრთხე შეექმნა თანამედროვე პირობებში, როცა სახელმწიფოთაშორისი იზოლაციის ზღუდე გაირღვა და ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტები, მათ შორის ენობრივი, აღდგა და გააქტიურდა. ეს საფრთხე გამოიწვია საკუთრივ თურქეთის რესპუბლიკაში ენობრივი სიტუაციის შეცვლამ, რაც დაუკავშირდა იქ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს, უპირველესად ესაა ურბანისტული და ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება, ახალი თაობის სწრაფვა განათლების მიღებისაკენ... ყოველივე ეს საბოლოოდ აისახება ასიმილაციის პროცესის დაჩქარებაში.

2. „თურქეთის საქართველოში“ ენის შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს დღემდე წარმოადგენს მშობლიურ გარემოსთან, სოფელთან, კომპაქტურ დასახლებასთან უწყვეტი კავშირი, სადაც გურჯული ისევ ასრულებს ლოკალურ დონეზე საკომუნიკაციო ფუნქციას. ქართული ენა შეუდარებლად კარგად არის შემონახული ოჯახებში, რომლებიც სოფლის მუდმივი მაცხოვრებლები არიან.

შავშურ-იმერხეული სუბკოდის კონკრეტულ მაგალითზე, ქართული დიალექტური მეტყველების ფლობისა და ფუნქციონირების ზოგადი სურათი, ასაკობრივი პრიციპიდან გამოსვლით (თაობათა მიხედვით), ასეთია:

გურჯული კილო დომინანტია უფროს თაობაში, რომლისთვისაც იგი პირველი ანუ მშობლიური ენაა. უფროს თაობაში დღესაც შეიძლება შეგვხვდეს მონოლინგვიზმის ერთეული შემთხვევები ანუ მხოლოდ ეთნიკურ სუბკოდზე მოლაპარაკე პირები.

აქცენტუაცია წარმოადგენს ერთგვარ ინდიკატორს იმის დასადგენად, ორენოვანი თურქეთელი ქართველის მეტყველებაში დომინირებს ეთნიკური დიალექტი თუ თურქული ენა.

ქართულ დიალექტურ სუბკოდს ფლობს საშუალო თაობა, თუმცა მასთან დომინანტის როლში, ჩვეულებრივ, თურქული ენა გამოდის. საშუალო თაობის მეტყველებაში გამიჯნულია გურჯული და თურქული სუბკოდების ფუნქციები. გურჯული სუბკოდის გამოყენებისას ადრესატის როლში გვევლინებიან ოჯახის წევრები და თანასოფლელები (უფროსი და საშუალო თაობიდან), ხოლო საუბრის თემატიკა, ჩვეულებრივ, ეხება ყოფითი ცხოვრების რეალიებს.

რაც შეეხება ახალ თაობას — ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს (დაახლოებით, 20 წლისა), ისინი, ძირითადად, გვევლინებიან პასიურ ბილინგვებად — ქართული სუბკოდი ესმით, მაგრამ მასზე ვერ ლაპარაკობენ. ეს გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ გურჯულმა დაკარგა დედა-შვილს შორის საკომუნიკაციო კოდის ფუნქცია. წინა თაობისაგან განსხვავებით, მშობლები შვილებთან თავიანთ ეთნიკურ ქვეკოდზე ბავშვობიდანვე აღარ ურთიერთობენ, რაც სიგნალია ენის გადაცემის უწყვეტობის რღვევისა.

3. დღევანდელი ვითარება საფუძველს იძლევა ჩვენებურების მეტყველების ცვლის ტენდენციების ამგვარად პროგნოზირებისა: 1) ქართული დიალექტური სუბკოდის აქტიურ მატარებელთა რიცხობრივი შემცირება; 2) დიალექტური მეტყველების ცვლა ორი მიმართულებით: ა) ინტერფერენციული გავლენის გაძლიერება თურქული ენის მხრიდან სხვადასხვა ენობრივ დონეებზე, ბ) ცვლილებები ქართული ენის ქვესისტემების გავლენით, საქართველოს მოსახლეობასთან კონტაქტების გააქტიურების კვალდაკვალ. ამ პროცესში თავის როლს ასრულებს ქართული ტელეარხების ხელმისაწვდომობა.

ამრიგად, ახლო მომავალში სამხრულ კილო-თქმებში მნიშვნელოვანი ცვლილებებია სავარაუდო (ეს პროცესი უკვე დაწყებულია), რის გამოც საშურია ამ უნიკალური მეტყველების (ქართველოლოგიისათვის ნამდვილი საგანძურის) სასწრაფოდ დოკუმენტირება, მულტიმედიური კორპუსის — ვიდეო და აუდიოფაილების კომპეტენტური ბაზის შექმნა.

თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

განსხვავებულ მოდელთა უნიფიკაცია სამწერლობო ქართულსა და დიალექტებში

ძველ ქართულში აქტანტთა მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი განსხვავებულად იწარმოებოდა ი-/ე- პრეფიქსიან პასივთა და, მეორე მხრით, სხვა ტიპის პასივთა (-**ენ** ~ -**დ** სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითები) II სერიის ფორმებში, კერძოდ: ი-/ე- პრეფიქსიან პასივებს აღენიშნებოდათ მრ. რიცხვის ჭარბი (ორმაგი) წარმოება (გავიზარდ-

ენ-ი-**თ**, გავეზარდ-**ენ**-ი-**თ**), რაც მიუღებელი იყო სხვა ტიპის პასივებში. ეს განსხვავება სამწერლობო (resp. სალიტერატურო) ქართულში უნიფიცირებული, დიალექტებში კი დღემდე დაცულია ბევრგან.

რაც შეეხება მეორე ტიპის პასივებს, აქ ძველი ქართული მოდელი კარგად არის დაცული თანამედროვე ქართულში, გარდა თუშური დიალექტისა, რაზეც ჩვენ უკვე მივუთითეთ (გავშრ-**ენ**-**თ**, გაშრ-**ნ**-**ეს**; დავბერდ-**ენ**-**თ**, დაბერდ-**ნ**-**ეს**).

ჩანს, ეს ტენდენცია მთლად უცხო არ არის სამწერლობო ქართულისთვისაც, მაგალითად: „დაჩჩუნეს ჴორცნი მისნი, ვითარცა ყრმისა“ (ბაქარის ბიბლია, იობ. 33,: 25); შდრ. „მოაჩუნეს სხეულნი მისნი ვითარცა ყრმისა ჩჩკლისანი“ (0, იობ. 33, 25). დაჩჩუნეს: მო**ა**ჩუნეს (პასივი: აქტივი) დაპირისპირება ხდება უნიშნო ვნებითთა და მათგან ნაწარმოებ აქტივთა ტრადიციული წესით (შდრ. შრების: აშრობს, ქრების: აქრობს; გაშრა: გა**ა**შრო, ჩაქრა: ჩა**ა**ქრო...).

სავარაუდებელია, რომ ამ ზმნას მიმღეობაც უნიშნო ვნებითთა წესით უკეთდებოდა: დამჩუარი, საწყისად კი **ი**. **აბულაძეს** ლექსიკონში გაუტანია მოჩჩუ(ებ)ა, რომელიც ნაწარმოებია აქტივის ფორმიდან. პასივთა ფორმებიდან საწყისი არც იწარმოება.

ნათელა ფარტენაძე
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ზმნისწინთა მონაცვლეობა და დამატებითი ფუნქციები სამხრულ მეტყველებაში

ჩვეულებრივ, ზმნისწინი ზმნის მნიშვნელობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამა თუ იმ ზმნისწინის სხვა ზმნისწინით შეცვლა (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება შენაცვლებული ზმნისწინის მიერ ზმნისათვის ძირითადი მნიშვნელობის შეცვლა) შეუძლებელია, მაგრამ დიალექტებში ასეთი შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია.

ზმნისწინთა შენაცვლებას უნდა იწვევდეს ფუნქციათა ერთიანობა. ზოგჯერ ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება რამდენიმე ზმნისწინით გადმოიცეს; ამას გარდა შეიძლება ერთ რომელიმე მიმართულებაზე ორი განსხვავებული ზმნისწინი მიუთითებდეს. ერთი სიტყვით, გარკვეულ სიტუაციაში ზმნისწინები ერთმანეთის მაგივრობას ეწევიან, თუ როგორ და რამდენად სრულყოფილად, ამას სამხრული ჩანაწერების მიხედვით განვიხილავთ.

სამხრულში საკმაოდ ხშირია წა- ზმნისწინით მო- ზმნისწინიანი ფორმების ჩანაცვლება სვლის' სემანტიკის ზმნებში: **წა-დიან**, **წამო-დიან**, **წა-ვდივართ**, **წა-გაბმენ**...;

ზოგჯერ გა- ზმნისწინი ენაცვლება შე- ზმნისწინიან ფორმებს: **გა-ვპირდი**, **გა-ვწუხდი**...;

გვხვდება და- ზნისწინის გა- ზმნისწინით ჩანაცვლება: **გა-გაწყნაროს**, **გა-მსუბუქდა**, **გა-პირდი**, **გა-ისვენა**(//**გე-ისვენა**), **გა-სველდა**...; მო- ზმნისწინის გა-ზმნისწინით შენაცვლება: **გა-ტყვილდება**, გამო-/წამო- მონაცვლეობა- **წამო-ვაბრუნე** და ა. შ.

გარდა მონაცვლეობისა, სამხრული მეტყველება ზმნისწინთა დამატებთი ფუნქციების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ესენია: ინტენსიობა, ოდნაობა, მოჩვენებითობა, უნებლიობა და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ნიუანსების გამოხატვა ყველა ზმნისწინს არ შეუძლია, ის მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან — თვისება შეიძლება იყოს.

ზმნისწინის დამატებითი ნიუანსები სრული ასპექტის გამოხატვასთანაა კავშირში. ყველა ის ზმნური ფორმა, რომელიც რაღაც სპეციფიკურ შინაარსს შეიცავს და დამატებითი ნიუანსები გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, სრული ასპექტისაა.

სამხრულში, დამატებით ფუნქციათაგან, ყველაზე მეტად გამოკვეთილია ოდნაობა და ინტენსიობა. მოქმედების სიცოტავეზე, ოდნაობაზე ძირითადად მიგვითითებს წა-, წამო- ზმნისწინები: **წა-ავლე**, **წა-ბურე**, **წა-გავე**, **წა-ხსნა**, **წა-კარა** (**წა-კრა**), **წა-აასუქა**, **წა-რჩა**, **წა-თლიმა**, **წუ-მატა**, **წამო-დვა**, **წამე-ისხა**, **წამო-წია**, **წამო-ხედა**, **წამო-ციმციმდა**..., ამავე ფუნქციას ასრულებს მო- და შე- ზმნისწინებიც: **მო-ვღალე**, **მო-წვა**, **მო-სვა**, **მო-შუშდა**, **მო-ხრისა**; **შე-თბება**, **შე-აყენა**, **შე-უსწორა**, და ა. შ.

ინტენსიობა, როგორც წესი, გადმოიცემა და- ზმნისწინით: **და-კტენ**, **და-ასტავლე**, **და-ატყვილე**, **და-ღობე**, **და-ცრი**, **და-ტეხე**, **და-სივდა**, **და-აშრო**..., თუმცა მათ გვერდით, ინტენსიობის გამოსახატავად გვხვდება- **ჩამო-გიკითხო**, **გა-კრეფილან**... ზმნისწინიანი ფორმებიც.

რაც შეეხება სხვა დამატებით ფუნქციებს, ისინი ასე გამოკვეთილი არაა სამხრულში, თუმცა მეტ-ნაკლებად მაინც დასტურდება.

მ ა მ ი ა ფ ა ღ ა ვ ა
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ძველი ქართული ლექსიკა სამხრულ კილოებში

სამხრული კილოების ლექსიკაში რამდენიმე ფენა უნდა გამოიყოს: ა. ძველი ქართული; ბ. საერთოქართველური; გ. ნასესხები და დ. დიალექტური ლექსიკა. საინტერესოა ძველი ქართული ფენა სამხრული მეტყველების ლექსიკაში:

1. **ხოცავს** — წმენდს (აჭარული, შავშური კლარჯული). ძვ. ქართული **მოჴოცა**: მოჴჴოცდა სისხლსა წმიდისა ანდრეანესასა (ანდრ. ანტ. 220,21); 2. **რცხა** — რეცხვა (შავშური, კლარჯული). ძვ. ქართული: **რცხიდეს** მათ ცრემლითა (მ. ცხ. 9r). ძველ ქართულში დასტურდება: **გამორცხა**, **განრცხა**, **მრცხელი**, **სარცხელი**. იგივე ფუძე დასტურდება საშუალ ქართულშიც. 3. **ქორი** — საბძელი (შავშური). ძვ. ქართული **ქორი**: ჯდა **ქორსა** მას საზაფხულოსა მარტოდ (M. მსჯ. 3,20). იგივე ძირია **ქორედ**'ში — ქორიანი: იყო სახლსა მას **ქორედ-სა**... (I, იერემ.20,2)... აღვნიშნავთ, რომ დიალექტში ქორის მნიშვნელობა ოდნავ განსხვავებულია; 4. **კაკალი** — ცალი, ერთი ცალი... (ერთის მნიშვნელობით **კაკალი** გვხვდება აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, გურულში, ასევე კოლხურსა და სვანურში). იგივე მნიშვნელობით **კაკა**(**ლი**) დადასტურდა ძვ. ქართულში კომპოზიტში **ერთკაკა** — ცალკაკა...: არა მოუჴდეს კაცი... **ერთკაკად** G, ნუ მოვალნ კაცი ... **ერთკაკად** (ლევიტ. 21,20); **კაცი** — ქმრის მნიშვნელობით გვხვდება აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, ტაოურში, ზოგიერთ სხვა კილოშიც. იგივე მნიშვნელობა აქვს მას ძველ ქართულშიც: ქალწულსა, თხოვილისა **ქმარსა** DE, ქალწულისა გათხოვილისა **კაცსა** (C. ლ. 1,27); 6. **ყაჭი** — აბრეშუმის ჭიის მნიშვნელობით გვხვდება აჭარულში. ძვ. ქართულში ყაჭი აბრეშუმის მნიშვნელობით იხმარება: რომელი-იგი (სთული) გიქმნის თქუენ ჭიამან **ყაჭისამან** საქუსლად სამოსლისა ლბილისა (ბ. კეს. 121,8); 7. **ასახნელი** — გამოცანა (აჭარული), ვინც გამოცანას ხსნის — **ამხსნელია**. შდრ. ძვ. ქართული **აღმჴნელი**: მყვნა შეწევნითა ღმრთისაჲთა **აღმჴნელ** და განმბჭობელ საქმესა კნინღა დაფარულსა (A. 129,8); 8. **ზიმთი** — აჭარულში (ქობულეთურ კილოკავში) იხმარება ფისის მნიშვნელობით. იგი ფონეტიკური ვარიანტი ჩანს ძვ. ქართული **ძივთი**'სა: ბძანა ... დადნობაჲ **ძივთისაჲ** და მდუღარისაჲ მის დასხმაჲ თავთა მათთა ზედა ((A. 129,285r, 8-12 b); 9. **ბანჯარი** — მწვანილი, ბალახი იხმარება ძვ. ქართულში: ვითარცა **ბანჯარი** შემჭნარი (ეს. 37,27). შავშეთში მთის ბალახია **ფანჯარი** (**<ბანჯარი**); 10. ძველ ქართულში **გამეში** აღნიშნავს **კამბეჩს**, **კამბეშს** (II შჯ. 14,5). **გამეში** გვხვდება შავშურში ტოპონიმში გამეშეთი; 11. ძვ. ქართულში **ბღუნვა** მოხრას ნიშნავს: **ბღუნვით** იყო სლვაჲ მისი (ბალ. 24,2). **ბღუნარე** — **მოხრილი**. **ბღუნ** ფუძე გვხვდება **მობღუნკულ'ში** (აჭარული); 12. **გამობღულეძა** — „გამოღლეძა" დასტურდება ძველ ქართულში: **გამობღულიძის** სიმტკიცემან მან ახლისამან DE, **გამოიღიძის** დგმულმან მან სამოსლისა მისგან (C მთ. 9,16). შდრ. აჭარული: **გამობღლეძილი**, **დაღლეძილი**, **მოღლეძილი**//**მოღლეზილი**; 13. **მახროტი**, **მახრუტი** — ღვინის ჭიქას აღნიშნავს ძველ ქართულში: გ'ჴმს ... იყოს ჭიქებითა **მახრუტებითა** თითთა ზედა ტ'რთულთა (A92,236). **ხვრეტ** დალევას აღნიშნავს საშუალ ქართულშიც (ვეფხისტყაოსანი, დ. გურამიშვილი). **ხვრეტა**//**ხვრიტა** დალევის მნიშვნელობით იხმარება შავშურშიც: „მაწონი **ხვრიტო**'ნა"; 14. **ეზოს** ერთ-ერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის **კარი** (ი. აბულაძე). სამხრულ კილოებში (აჭარული, შავშური) „**კარში გავიდა**" ნიშნავს „**ეზოში გავიდა**"; 15. **პლაკი** ძველ ქართულში აღნიშნავს ლორფინს, ფიცარს.: კაცსა მას ქუეშე იპოა **პლაკი** მარმარილოჲსაჲ (Ath II, 189r). შდრ. აჭარული **პლაკე** — „**სიპი ქვა**"...

(**შენიშვნა**: მაგალითები ძველი ქართული ენიდან მოყვანილია: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ. 1973; ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1995).

მასალების მოყვანა კიდევ შეიძლება. სამხრული კილოების ლექსიკის გამოწვლილვით შესწავლა კიდევ ბევრ პარალელს გამოავლენს ძველ ქართულთან და ქართველურ ენებთან. დასაშვებია, რომ მოყვანილი ლექსიკური ერთეულები ძველ სამწერლობო ენაში დიალექტებიდანაა შესული. გამოვლენილი მასალები, ვფიქრობთ, საინტერესოა ქართული ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის.

ჟ. ფეიქრიშვილი, რ. საღინაძე, ე. დადიანი
(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

იმერული დიალექტის შესწავლის ისტორიისათვის (ახალი სალექსიკონო მასალა)

დიალექტური მასალის მოპოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიალექტის სრულყოფილი შესწავლისა და ენის თანამედროვე თუ ისტორიული ვითარების კვლევისათვის.

მოხსენება მიზნად ისახავს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის თანამშრომლის აწ განსვენებული ლეილა უკლებას მიერ შეკრებილი დიალექტური მასალის ანალიზს, აგრეთვე, მისი წიგნის „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა" პრეზენტაციას.

წიგნში წარმოდგენილია იმერული ლექსიკა, სიტყვაფორმები და გამოთქმები (1700-მდე ერთეული). ავტორს გამოწვლილვით აქვს შესწავლილი ერთი სოფლის, კერძოდ, ბაღდათის რაიონის სოფელ როხის .მეტყველება.

აღნიშნული მასალა არსებულ განმარტებითსა და დიალექტურ ლექსიკონებთან შედარება-შეჯერების საფუძველზე დაჯგუფდა შემდეგნაირად:

ა) სიტყვები, რომლებიც გამოცემულ ლექსიკონებში არ დასტურდება. მაგალითად: **ალეშკერებული** (ლამაზად ზეაწეული წარბები, გადარკალული), **აჭოფავს** (წინდას ჩასაცმელად მოიმარჯვებს), **გამფრინვალე** (სამიჯნურო საქმეებში დაოსტატებული ქალი), **იქლურცება** (ჩუმად ტირის), **კაკაურობს** (გამუდმებით მღერის ან ბევრს კითხულობს ხმამაღლა), **კანკოჩა** (პატარა, დაბალი სკამი), **ყიყმარიტობს** (წვალობს, ეძინება, მაგრამ ვერ იძინებს), **ქოთილარეს** (ცუდი სუნი ასდის), **ღულამბრები** (ლოკონები), **ცისქნობამდის** (ცის სიმაღლემდე, გადატ. მეტისმეტად, ძალიან), **წენწი** (ტანწვრილი და მაღალი ბიჭი), **ჭოპნის** (კერავს), **ხინცალი** (აცმა)...

ბ) სიტყვები, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: **ააგუნდავებს** (თავის ნებაზე ატრიალებს, ათამაშებს), **გამოჩხაკული** (ჭრელი ან ღია ფერის თვალები), **ეზურგულება** (ნაკლი აქვს), **ღიჯი-ღიჯი** (ერთი და იმავეს ჩიჩინი), **წამწათხავს** (წათოვს წყლიანს)...

გ) ხატოვანი გამონათქვამები: **ბურდავალას იძახის** (არხეინადაა, არაფერი ედარდება), **ბუსთავის სამარილე** (მეტსახელი, გასაჯავრებელი გამოთქმა), **ენით წარბებს ისწორებს** (ენაგრძელია); **მთის ჩიტი მთას შეაკვდა** (სადაც დაიბადა, იქ უნდა მოკვდეს); **საფჩხილე არ ამოუვიდეს** (სული არ წაუვიდეს; იტყვიან ბავშვზე, რომელიც შესცქერის სხვის ჭამას და მიაწოდებენ საჭმელს), **წვენი გემოს გადაჰყვა** (მალე შეიჭამა)...

ლ. უკლებას მიერ მოძიებული ლექსიკური ერთეულები საინტერესო და ფასეულია იმერული დიალექტისა და ზოგადად ქართული ენის ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით.

ნათია ფონიავა
(თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღის ტოპონიმიიდან

ჩხოროწყუს რაიონის გეოგრეფიულ სახელებს მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა პ. ცხადაიამ, თუმცა ზოგი ტოპონიმიკური ერთეული, მათ შორის — სოფელ ჭოღისაც, წიგნში არ არის წარმოდგენილი. ჩვენ მხოლოდ ასეთებს შევეხებით.

პირველ ჭოღის ბაკურეთის უბანში არის რამდენიმე მიკროუბანი, რომელთა სახელდება მომხდარა სათანადო ტერიტორიაზე ამა თუ იმ გვარის დასახლების მიხედვით:

ლეთოდუე — სახლობს თოდუების რამდენიმე ოჯახი.

ლეაბშილე — აბშილავების ორი ოჯახი ცხოვრობს. მათი გვარი სოფელ თაიიდან გადმოსახლებულა XX ს-ის დასაწყისში.

ლეხობელე — ლეაბშილეს გაგრძელებაა. ცხოვრობენ უმეტესად ხობელიები. მათი წინაპარი ხობელი აზნაური ყოფილა და თავადთან უკმაყოფილების გამო გადმოსახლებულა ჭოღაში დაახლოებით XVIII საუკუნეში.

ნ ა ს ა ხ ლ ა რ ე ბ ი

ბაკურეთში, ლეთოდუეს მიკროუბანში დასტურდება ნასახლარები: **სოფიაშ ნოხორი**, **პეტრეშ ნოხორი**, **გერაშ ნოხორი**.

ბაკურეთში, ლეპატარეს უბანში არის შემდეგი ნასახლარები: **კაკოშ ნოხორი**, **დათიკოშ ნოხორი**, **ავთაშ ნოხორი**, **იაკოშ ნოხორი**, **ლაზაშ ნოხორი**.

ყველა აღნიშნული ნასახლარი სათანადო ანთროპონიმებს უკავშირდება (სოფია, პეტრე, გერა, კაკო, დათიკო, ავთა, იაკო, ლაზა; ნოხორი „ნასახლარი“).

ტყეების მონაკვეთები სახელდებულია იქ გავრცელებული და უფრო დამახასიათებელი მცენარეთა სახელების მიხედვით:

ტუნგონა „ტუნგის ტყე“ — მდებარეობს პირველი ჭოღის ცენტრთან. საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გაშენებულია ტუნგის პლანტაცია.

აკაციონა „აკაციის ტყე“ და **ცხიმურონა** „რცხილნარი“ — ბაკურეთის უბანში, ლეთოდუეში.

ლეკუხონა „ხეჭრელის ტყე“ — ბაკურეთის უბანში, ალაცვანჩიასთან.

ფ ე რ დ ო ბ ე ბ ი

ბარდღაში ფერდი — ლეხობელეში მდებარეობს. ბარდღა ადამიანის სახელია.

შკედონა||შქედონა — ფერდობი ბაკურეთში. **შკედი||შქედი** „გორაკის (მთის) ჩრდილიანი (ჩრდილოეთი) ფერდობი“, რომელსაც მზე იშვიათად უდგება.

ღ ე ლ ე ე ბ ი

ნავესჷღალი „ნავესის ღელე“ — ბაკურეთის უბანში. ღელე გამოედინება ჩაის პლანტაციების ტერიტორიიდან. ღელის სიახლოვეს ყოფილა ჩაის მიმღები პუნქტი — ნავესი და ღელესაც მისი სახელი დარქმევია. ბარბარიზმია. შდრ. რუს. навес „ფარდული“.

წყენაღალი — მეორე ჭოღაში. ჩნდება მხოლოდ წყალდიდობისას, სხვა დროს დამშრალია, ადიდება იცის და ასე იმიტომ ეძახიანო.

მ ი წ ი ს ნ ა კ ვ ე თ ე ბ ი

ალაცვანჩია — მდებარეობს ბაკურეთის უბანში, კერძოდ, ლეაბშილეში. გზისპირისგან ჩადაბლებულ ადგილას, ყანის გვერდით. **ალა** გვერდით მდებარეობის, მყოფობის აღმნიშვნელი ზმნისწინი უნდა იყოს, **ცვანჩია** კი მეგრ. **ცვანა**-ს „ყანის“ კნინობითი ფორმა (**-ჩია||-ჩი** კნინობითობის მაწარმოებელი ჩანს).

დამბა — მდინარე ოჩხომურის მიმდებარე მონაკვეთი, ფართო, დაბალი ადგილი, რომელიც წყალდიდობისას მთლიანად იტბორებოდა.

ტრანჩაია — ჰქვია ჩაის პლანტაციას პირველ ჭოღაში, რომლის რიგებს შორის ფართო დაშორებაა.

ნაბაგურჷ — შონიათის უბანში, პირველ ჭოღაში. ამ ადგილას კოლმეურნეობის ბაგური ფერმა ყოფილა. ამავე სახელწოდების ტოპონიმი არის ლეჯვატეს უბანშიც.

ნაშვრიუ — ჟუღუში ეწოდება ერთ-ერთ ფართობს. როგორც ჩანს, იმ ადგილას შვრია მოჰყავდათ.

მ ო რ ე ვ ე ბ ი

კაკიში ტობა — მორევი ლეჯვატეში. კაკი ქალის სახელი ყოფილა.

გრიშაში ტობა — მორევი ბაკურეთში. საინტერესოა, რომ ადრე მას **ლადიშ ტობა** ერქვა (გრიშას მამის სახელი).

ოფუცხოლე — მორევი გოჭკადილში. აქ თურმე ბევრი თევზი იყრიდა თავს და თევზსაჭერს დგამდნენ (შდრ. მეგრ. ფუცხოლ-უა „სწრაფი, ხმაურიანი მოძრაობა“).

წ ყ ა რ ო ე ბ ი

ცაბუაშ წყურგილი — ბაკურეთში, ნავესჷღალჷ-თან ახლოს.

ცვიცვიშ წყურგილი — ჭოღის ცენტრთან მდებარე სასაფლაოს გზაზე.

ვარლამიშ წყარი — მდებარეობს ჭოღისა და ნაფიჩხოვოს საზღვარზე.

წყაროთა განხილული სახელწოდებები შესიტყვებებია, რომელთა პირველი კომპონენტი ანთროპონიმია (ცაბუა, ცვიცვი, ვარლამი), მეორე კომპონენტი — წყურგილი, წყარი „წყარო“.

ბუმე წყარი — მეორე ჭოღაში. პ. ცხადაიასთანაც არის დაფიქსირებული მდინარე ბუმე (ჩვენ შესიტყვება დავადასტურეთ).

ნაინჭჷ „ადგილი, სადაც ჭა ყოფილა“ — მდებარეობს პირველი ჭოღის ცენტრში, ყოფილი კოლმეურნეობის შენობის ქვემოთ.

აქ ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ნაწილი იმ ტოპონიმთაგან, რომლებიც სოფელ ჭოღაში ჩავიწერეთ; ივარაუდება, რომ მომავალში მის შესწავლას დავუბრუნდებით.

ელზა ფუტკარაძე
(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ხატოვანი სიტყვა-თქმანი „ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხალხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველება მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგზის გამახვილებულა ყურადღება საენათმეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი ქართული ენის დიალექტების მიხედვით. ეს ყველაზე მეტად სამხრულ-დასავლური დიალექტების მიმართ ითქმის. ამ კუთხით არსებული სიცარიელე ნამდვილად შეავსო პროფესორ შუშანა ფუტკარაძის წიგნმა „ჩვენებურების ქართული“. ფასდაუდებელია „ჩვენებურების ქართულის“ ტექსტები თავისი ლექსიკით, გრამატიკული ფორმებით. ფაქტიურად, ამ ტექსტებით გვექმნება საფუძვლიანი წარმოდგენა სამხრულ-დასავლურ დიალექტებზე. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება დიალექტი, რომელსაც დაუცავს ბევრი საინტერესო ლექსიკური ფორმა თუ გრამატიკული თავისებურება. ამ დიალექტურმა ჯგუფმა ბუნებრივია, რომ განიცადა უცხო ენის გავლენა, მაგრამ მასში მაინც დაკრისტალებულია ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი. სწორედ ამ კუთხითაა ის საინტერესო და მნიშვნელოვანიც. ამ დიალექტის ცოცხალ მეტყველებაზე ხანგრძლივი და სისტემური დაკვირვების შედეგია ტექსტში თავჩენილი ხალხური ხატოვანი სიტყვა-თქმები. ისიც ნათელია, რომ ხალხური სიტყვა-თქმების შესწავლა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ასეთი მასალის მოპოვება ხალხთან უშუალო ურთიერთობას მოითხოვს, რაც საკმაოდ რთულია.

ნაშრომში გაანალიზებული იქნება „ჩვენებურების ქართულიდან“ ამოკრებილი ზოგიერთი ხატოვანი სიტყვა-თქმა. მაგალითისათვის, **კიბილის ტვინების გაყრა**, **თუალების ჩაყრა**, **ა ბის ბუკზე შემოკრა**, **წვერის პირში ჩაჩრა**, **დერდისგან გალეწვა**, **მერცხალი გაშპა**, **ყუსურის ჩუქება**, **სიტყვის თაფლით მოჭრა**, **ხელ არ მეიჭამს**...

დიალექტს უამრავი ხატოვანი სიტყვა-თქმა დაუცავს, რომლებიც სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება-გამრავალფეროვნების წყაროა. გარდა ამისა, ისინი ენის სახეობრიობაცაა. შესაძლებელია, მათ გზა გაეკაფოს და დამკვიდრდეს სამწერლობო ენაში.

ნათია ფუტკარაძე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

-დ-ებ-ა და ი-/ე---ებ-ა სტრუქტურის ზმნები აჭარულში

-დ-ებ-ა და **ი--ებ-ა** სტრუქტურის ზმნები ქართულ ენაში, როგორც წესი, ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნებია; ეს ზნები მეორე დიათეზის ავტოაქტივებადაც არის კვალიფიცირებული. ქართული ენის აჭარულ დიალექტში ერთპირიანია ზოგი ე- პრეფიქსიანი ზმნაც (ეთხვება „თხოვდება“).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აჭარული დიალექტის **-დ-ებ-ა** *(მოჰაზირდება, ქორწილდება)* და **ი-/ ე--ებ-ა** აგებულების ზმნების *(იარება, ითლება, ეთხვება)* პარადიგმები. საკითხი შესწავლილი იქნება ქართველურ მასალაზე დაყრდნობით (კვლევა ემყარება „ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის“ მასალებს, ჯერ გამოუქვეყნებელ ტექსტებს).

შუშანა ფუტკარაძე,
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ელზა ფუტკარაძე,
(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)
მედეა რიჟვაძე
(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

სოფელ გევლის მეტყველების თავისებურებანი

გევლი ერთი ლამაზი სოფელია მდინარე მურღულის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა, ართვინის ვილაიეთი). იგი დაბა მურღულიდან დაშორებულია ექვსი კილომეტრით. სოფელი საკმაოდ მოზრდილია. ამჟამად 200 კომლი ცხოვრობს. აქაურები ძირძველი ქართული მოდგმის შთამომავლები არიან — **ვარშანიძეები**, **კიკნაძეები**, **სურმანიძეები**, **ჯაყელები**. მართალია, ბევრს აღარ ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი, მაგრამ ქართველობის შეგნება არავის დაუკარგავს. სარფის კარის

გახსნის შემდეგ მათ მოძებნეს თავიანთი ნათესავები დედასამშობლოში. დღეს ყველა მურღულელმა იცის, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული მათი გენი, ფესვი ქართველთა ისტორიულ სამშობლოში ხარობს.

მურღულის ხეობის ქართული ნიგალური კილოს თქმაა, რასაც სოფელ გევლის მეტყველებაზე დაკვირვებაც ადასტურებს ხოლმე. აქაურთა მეტყველებას შემოუნახავს უძველესი ენობრივი თავისებურებანი და ნიგალური კილოსათვის დამახასიათებელი დიალექტური ფორმები. მოხსენებაში გაანალიზებულია **2010 წლის აგვისტოში** სოფელ გევლში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები. წარმოჩენილია **ფონეტიკურ-გრამატიკული** და **ლექსიკური თავისებურებანი**.

განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა კითხვითმა ა- ნაწილაკმა. იგი გვხვდება როგორც კითხვითსიტყვიან, ისე უკითხვითსიტყვო კითხვით წინადადებაში. მაგ. ვინ ხარა?; დიდი ხარა?; სურმანიძე ხართა?; აქ ქნაია ქორწილი?; არხატაში ყავსა? ჩუენა ნათესავები ვართა? შვილები გყავსა?; ბათუმსა ვნახავ მეა?... (ა- ნაწილაკზე მოდის მახვილი).

ობიექტის მრავლობითი რიცხვის პირველი პირი ზმნაში გამოხატულია თავსართ **მან**-ით: ჩუენა ღმერთმან **დემეშუელენ**; ჩუენა არ **გემეყარა** ავნი (გაგვეყარა); **მომცეს** მასწავლებლებსა მააში (ხელფასი მოგვცეს); **მაწვიეს** (მიგვიწვიეს) პარლამენთოში; პარკში **მომართვეს** საჭმელი (მოგვართვეს)...

გარდამავალი ზმნის პირველი სერიის მწკრივის ფორმებთან პირდაპირი ობიექტი დგას სახელობით ბრუნვაში, სუბიექტი კი მოთხრობითშია, რაც ლაზურთან სიახლოვის შედეგია: **კაცმა** ასწავლის; **ხოჯებმა** იძახიან ლოცვა, **ძველებმა ღომი** დათესევდენ; **ვაჭრებმა თუთუნი** გაყიდევდენ; გამევტანდით **მარილი**; საჭმელსა **კაკალი** მუაყრით; **ბაბამა ხარი** ამუშავებდა...

მიმზიდველ ლინგვისტურ სურათს ქმნის სოფელ გევლის **„მიწის ენა“** ანუ **ტოპონომია**. ადგილთა სახელები თითქმის მთლიანად ქართულია, როგორიცაა: **ალავერთი**, **არხვა**, **ბილონცარა**, **ბიჭიეთი**, **ბოღლეთი**, **ბუჯური**, **გოლახურა**, **გუგულავრი**, **ერეგუნა**, **ვაშანეთი**, **ზემდითი**, **ზიარეთი**, **თოხვეთი**, **თურნა თეფე** (**ქედი**), **კილდიყანა**, **კოკორეთი**, **კოლაღიკარი**, **კუტუნეთი**, **მარილევი**, **ჩამლუგი**, **მაჩაქვეთი**, **მუღელეთი**, **ნაკუტნევი**, **ნასელავი**, **საკლავი**, **ფარეხ თეფე** (**ქედი**), **ქამელეთი**, **ქერიეთი**, **შარითავი**, **ჩქოლნარი**, **წვერსიქითი**, **წითლობათი**, **წაბლოვანი**, **წყაროთი**, **წყალფანჩურა**, **ხარატიეთი**, **ხაჭიკეთი**, **ხიტინა**, **ხობერკეთი**... მოხსენებაში გაანალოზებულია ტოპონიმთა სიტყვა-ძირები და ფუძეები.

სოფელ **გევლის** ტოპონიმების ერთი ნაწილი მოხსენიებულია **სოფელ კორიდეთის** წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის **სახარების** (ბერძნულ ენაზეა გადაწერილი მე-8 საუკუნეში) **მინაწერებში**.

მინაწერები ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს მურღულის ხეობის წარსულის შესასწავლად. სწორედ ამ მინაწერებიდან დადასტურდა, რომ ძველ საქართველოში პოლიტიკურად და ეკონომიურად დაწინაურებული მურღულის მხარის გამგებლები X-XIII საუკუნეებში იყვნენ საქართველოს ისტორიაში ცნობილი **ჯაყელები-ათაბაგები**. წარწერები მოგვითხრობენ, თუ რომელი ადგილები შესწირეს მათ კორიდეთის ეკლესიას. ცნობილია, რომ **იოანე ჯაყელმა** და **ყუთლუარსლანმა** (თამარ მეფის ეპოქის ცნობილმა პიროვნებებმა) კორიდეთის წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას შესწირეს ადგილები- **ორჭისი** და **თიხჩეთი**. ეს გეოგრაფიული სახელები დღესაც ცოცხალია სოფელ გევლის მიმდებარე უბანში. კორიდეთის სახარების მინაწერებში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელებისა და **ალის ეკლესიის** (ფოცხოვი) **სვინაქსარების** მონაცემთა მიხედვით დგინდება, რომ **ყუთლუ-არსლანი** და **ხუაშაქი ცოქალი** იყვნენ **ჯაყელთა** საგვარეულო სახლის შვილები და ერთმანეთის უახლოესი ნათესავები.

მურღულის ხეობის ქართული სოფლების მეტყველების შესწავლა კვლავაც ბევრ საინტერესო სურათს გადაშლის არა მარტო **ქართულ ენათმეცნიერებაში**, არამედ **საქართველოს ისტორიის** არაერთ დღემდე ნაკლებად შესწავლილ საკითხსაც მოჰფენს ხოლმე ნათელს.

მ ი ხ ე ი ლ ქ ა მ ა დ ა ძ ე
(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

-იან- სუფიქსით გაფორმებული გვარები აჭარაში

აჭარაში გავრცელებული გვარები მეტწილად **ძე** დაბოლოებით გვხვდება. შედარებით ნაკლებია **შვილ**ზე დაბოლოებული გვარსახელები. ხოლო -**იან**-სუფიქსით გვარების გაფორმება აჭარის რეგიონისათვის დამახასიათებელი არაა.

ჯაიანი, ავალიანი, დადიანი, ყიფიანი, ახვლედიანი, ციციანი // ციციანიძე... ეს საგვარეულოები აჭარაში სხვადასხვა დროს არიან მო-

სული (უპირატესად სამეგრელო-სვანეთიდან). ამის შესახებ მოცემული გვარების წარმომადგენლებიც მიუთითებენ.

მაგ., ციციანები სვანეთიდან მოსულან და ამჟამინდელი ქედის რაიონის სოფ. საღორეთში დასახლებულან. შემდეგ ზოგი მათგანი შუახევის რაიონის სოფ. ცხემლისში გადასულა საცხოვრებლად. სოფ. საღორეთში მცხოვრებნი ამჟამად ციციანიძედ იწერებიან, ცხემლისში კი-ციციანად.

სვანეთიდან წარმომავლობენ, აგრეთვე შუახევის რაიონის სოფლებში მცხოვრები ყიფიანები, ქედის რაიონის სოფ. დანდალოში მცხოვრები ავალიანები. . .

ავალიანი თავადაზნაურულ გვარებს მიეკუთვნება. 1912 წელს საოლქო წოდებრივ კომისიას დაუკმაყოფილებია ავალიანთა რამდენიმე ოჯახის თხოვნა და აღუდგენია მათთვის თავადის წოდება.

მოხსენებაში საუბარი იქნება **-იან-** სუფიქსით გაფორმებული სხვა გვარების წარმომავლობაზეც.

მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

უფალ-ის და ღმერთ-ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანისათვის ქართულ დიალექტებში

1. წმიდა იოანე დამასკელი თავის „გარდამოცემაში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ღმერთის სახელთაგან უპირატესი და უმჯობესია **არსი** „მყოფი“, რომლითაც უცხადესად („უსაკუთრესად“) წარმოჩნდება ღმერთის ჭეშმარიტი შინაარსი — „მყოფი; „რომელი-იგი არს“, ანუ „ის, რომელიც მყოფობს, არის (მარადის)“ (შდრ. გამოსლვათა 3, 13-14).

ღმერთის მეორე უპირატეს სახელად წმიდა მამა ასახელებს საკუთრივ **ღმერთს** — ბერძნ. **თეოს**-ს, რომლითაც წარმოჩნდება **არსის** (მყოფის) მოქმედება (← ბერძნ. **თეეინ** „სრბოლა“).

იგივე წმიდა მამა გვიმოწმებს, რომ **უფალი, მეუფე, დამბადებელი, შემოქმედი, მწყემსი** და ამის მსგავსი სახელებით წარმოჩნდება მთქმელის (ადამიანის) დამოკიდებულება ღმერთისადმი („თჳსებასა წარმოაჩენენ წინაუკმო განყოფილთა მიმართ“), კერძოდ: ღმერთი **უფალია** იმისთვის, ვის მიმართაც უფლებულია, ანუ ვისთვისაც ღმერთი უზენაესი ბატონ-პატრონია — უფალი ღმერთია; მსგავსად ამისა, ღმერთი იმისთვისაა **მეუფე**, ვისთვისაც ღმერთი უზენაესი მეფეა; შესაბამისად, **დამბადებელი** — იმისთვისაა, ვინც თავს ღვთის შვილად მიიჩნევს, **შემოქმედი** კი იმისთვის, ვინც თავს ღვთის ქმნილებად აღიარებს და ა. შ.

2. ქართული **უფალის** და **ღმერთის** ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი სრულად ემთხვევა წმიდა იოანე დამასკელის ზემოთ მონიშნულ მოწმობას, შდრ.:

ერთი მხრივ, ქართ. **ღმერთი** მნიშვნელობით: „ღმერთი; ზებუნებრივი არსება“ (ქეგლ-ი); „სული ნათელი დაუსაბამო“ (სულხან-საბა); „არსება პირველ საუკუნო (დავით ჩუბინაშვილი)“;

მეორე მხრივ, პოლისემიური ქართ. **უფალი** მნიშვნელობებით: „1. იგივეა, რაც ღმერთი; 2. (წიგნ.) ბატონი, პატრონი, მბრძანებელი“ (ქეგლ-ი); „პატრონი (ვაჟი), გინა ღმერთი“ (სულხან-საბა); „სამღუთო წერილში ო~ჯი; ღმერთი, დამბადებელი, მეუფე, ბატონი, პატრონი“ (დავით ჩუბინაშვილი); „პატრონი, მფლობელი, ქრისტე“ (ილია აბულაძე); „უფროსი, ბატონი, პატრონი“ (ივანე იმნაიშვილი); „ბატონი ღმერთი“ (ზურაბ სარჯველაძე).

ამასთან ერთად, უაღრესად მაღალია სიხშირე და პროდუქტიულობა **ღმერთის** შემცველი კომპოზიტებისა ქართულში: **ღმერთკაცი, ღმერთმყოფელი**, **ღმერთქმნულებაჲ**, **ღმრთივდაცული**, **ღმრთისმშობელი**, **ღმრთისმეტყუელი**, **ღმრთისმსახური** და ა. შ. — ქართული ენა ასეულზე მეტ მსგავს კომპოზიტს ითვლის. მაგრამ გაცილებით დაბალია **ღმერთ**-ისგან წარმოებულთა პროდუქტიულობა (**ღმრთეება, საღმრთო, უღმრთო...**). ასევე შედარებით მცირე ჯგუფს შეადგენს **ღმერთის** შემცველი დალოცვისა და ფიცილის ფრაზეოლოგიზმები (**ღმერთს ებარებოდე...**).

ამისგან განსხვავებით, **უფალის** შემცველი ორიოდე კომპოზიტი მოგვეპოვება (**უფლისწული** „მეფის ან დიდებულის ძე, ასული; მემკვიდრე“; **უფლის-მოყუარე** „პატრონის, ბატონის მოყვარული“); სამაგიეროდ, მრავალფეროვანია და უაღრესად მაღალია **უფალისგან** წარმოებულთა სიხშირე (120-ზე მეტი ლექსიკური ერთეული — 73 დამოუკიდებელი სემანტიკური ველით).

უფალის და **ღმერთის** ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ კომპონენტი **ღმერთ**- კომპოზიტებში თითქმის უგამონაკლისოდ ინარჩუნებს „უზე-

ნაესი ღმერთის“ ან „ყოველივე ზეციურის“ სემანტიკას. ამასთან, ასევე თითქმის უგამონაკლისოდ ძნელდება **ღმერთ-** კომპონენტის ჩანაცვლება **უფალ**-ით, შდრ.: გვაქვს **ღმერთკაცი** ან **ძე ღმრთისა** (და არა: უფალკაცი ან ძე უფლისა); **ღმრთისმშობელი, ღმრთისმეტყუელი** ან **ღმრთისმსახური** (და არა: უფლისმშობელი, უფლისმეტყველი ან უფლისმსახური) და ა. შ. რაც შეეხება **უფალს,** 73 სემანტიკური ველიდან 15%-მდე მოდის „ყოველივე ზეციურის“ სემანტიკაზე, დანარჩენი (85%-ზე მეტი) — „საწუთისოფლოს“ სემანტიკის შემცველია.

3. მსგავსად მეგრულ-ჭანური და სვანური ენებისა (მეგრული **ღორონთი,** ლაზური **ღორმოთი,** სვანური **ღერმეთ, ღერბეთ**), ქართული ენის დიალექტებში თითქმის იმავე ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანის მოწმენი ვართ: აქ **ღმერთი** დომინირებს (**ღთ-/ხთ-** ძირით წარმოებულნი აღმოსავლურ მთის დიალექტებსა და ზოგიერთ დასავლურ დიალექტში, მაგ.: ხევსურული **ხთის იასაული** „ანგელოზი“ და სხვა მრავალი), **უფალის** გამოყენების სიხშირე კი თითქმის ნულს უტოლდება (თითო-ოროლა გამონაკლისით: ხევსურული **უფლის თვალი** „ძალიან ლამაზი“, ქართლური **უფლის ხე** „ბზა“).

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი
(თბილისი. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი)

მრავალგზისობის გამოხატვა კახურ დიალექტში

კახურ დიალექტში მრვალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით არაერთგვარი ვითარებაა. ქიზიყურ კილოკავში შემორჩენილია მრავალგზისობის ორგანული წარმოება — ვხვდებით როგორც პირველ, ისე მეორე ხოლმეობითის ფორმებს: **წამოიდის**, **დაჰკრის**, **განახევრდის**, **დაწერიან**. არის შემთხვევები, როცა ორგანული წარმოების ფორმას დაერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი: **მოკვდის ხოლმე**, **გადაცორიან ხოლმე**, **აიღებდის ხოლმე**. „ხოლმე“ ნაწილაკი დაერთვის სხვა მწკრივის ფორმებსაც: **გაიტანდა ხოლმე**, **შემიჭამნია ხოლმე**, **ათესამს ხოლმე**, **იტყვიან ხოლმე**.

გარე და შიდაკახურში მრავალგზისობას გამოხატავს ძირითადად ნაწილაკდართული ფორმები, მაგრამ იშვიათად გვხვდება ხოლმეობითის მწკრივები: **მოუხრიკნიან**. ორგანულ ფორმასთან ერთად გვხვდება „ხომე“ ნაწილაკი: შავიდი ხომე.

მრავალგზისობის გამოსახატავად ყე/კე და ხოლმე/ხომე ნაწილაკები: **ვეხვევიკე**, **ვასწავლიდითკე**, **ვინახავდიყე**. ხოლმე/ხომე ნაწილაკთაგან ხშირად გამოიყენება „ხომე“: **იტყოდა ხომე**, **გვაზელდნენ ხომე**.

მრავალგზისი მოქმედება გამოიხატება ზმნის გამეორებით: „მიდიან, მიდიან, ბოლოს იპოვეს“.

ზოგჯერ მრავალგზისობას გამოხატავს აღწერითი წარმოებით, ლექსიკური საშუალებებით. მაგ., „დღე და ღამე“. დღე და ღამე ვწვალობდი.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებები სვანურში

როგორც ცნობილია, გარემოება ხუთი სახისა არსებობს: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა; შესაბამისად, ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებაც ხუთი სახისაა.

ქართულის მსგავსად სვანურშიც წარმოდგენილია შერწყმულ წინადადებათა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სვანურში იშვიათია ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები; „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით ნაკლებად — ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათია, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის“ (აბესაძე).

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სვანურში არცთუ იშვიათია ერთგვარგარემოებიანი წინადადებები. უფრო ხშირია ერთგვარი ადგილისა და ვითარებითის გარემოებიანი შერწყმული წინადადებები,

ხოლო დროის, მიზეზისა და მიზნის ერთგვარი გარემოებები შედარებით ნაკლებად გვხვდება.

გარემოება, ძირითადად, როგორც ცნობილია, ზმნისართით გადმოიცემა, მაგრამ ამასთანავე შეიძლება გადმოიცეს ბრუნვიანი სიტყვითაც უთანდებულოდ ან თანდებულთა დართვით.

საკუთრივ ზმნიზედებით გადმოცემული ერთგვარი გარემოებები სვანურში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, უფრო ხშირია თანდებულიანი და უთანდებულო სახელებით გამოხატული გარემოებები.

ჴელედურას **ეჩეხ** ი **ამეხ** ა̈რიხ მეზგალ (პროზ. ტექსტ., III, 13) „ხელედურაში იქით და აქეთ არიან ოჯახები“

ღოლდა̄ქრე ჯოგარ დე **ეჩქად** ი დე **ათხე** და̄ს ე̄ს ხაყ̄ენა (პროზ. ტექსტ., IV, 22) „ცხვრების ფარა („**ჯოგ**-ებ-ი“) არც მანამდე და არც ახლა არავის ჰყოლია“

ჟიქა̄ნ ი **ეჩხენთე** ეშ ხოდიწ ვისკუ̄ს (ჩოლ.) „ზევით და იქითკენ ძალიან („ისე“) ასხია ვაშლს“

ეჩხენ-ამხენ ი **ჩუქუ̄ა̄ნქა** წგრნი არშინაჲ ხეჭამ (ჩოლ.) „აქეთ-იქიდან („იქით-აქეთ“) და ქვემოდან წითელი არშია ჰქონდა შემოვლებული („მოყვებოდა“)“...

ზმნისართები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მარტივი ფორმით, ასევე თანდებულის დართვითაც.

სახელით გადმოცემული უთანდებულო ერთგვარი გარემოებები ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას:

დოლა̄სუ̄ფიშ ი **უშხუ̄ანრიშ ნენსგა** და̄რ იზგა (პროზ. ტექსტ., II, 2) „დოლასვიფსა და უშხვანებს შორის („შუა“) არავინ ცხოვრობდა“

იშკენ იზგახ **გულიდს**, **კახგრს**, **ლასკადარს**, **ლესემას** ი მერბე სოფლა̄რს (პროზ. ტექსტ., III, 6) „სხვები ცხოვრობდნენ გულიდაში, კახურაში, ლასკადურაში, ლესემაში და სხვა („მე-**ორ**-ე“) სოფლებში“

ლე̄თშუ̄ ი **ლადეღუ̄შ** ჩიგარ ხაგ̄ედი (ჩოლ.) „ღამით და დღისით ყოველთვის სძინავს“

მოხსენებაში განხილული იქნება, აგრეთვე, გარემოებიანი შერწყმული წინადადებების კავშირიანი შეერთების შემთხვევებიც.

ეთერ შენგელია
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

მეგრულ-ლაზური მილოცვა-დალოცვის ფორმულებისა და ფრაზეოლოგიზმების ანალიზისათვის

ხალხის კულტურასა და ადათ-წესებთან დაკავშირებული ლექსიკის გარკვეული ჯგუფი მხოლოდ ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომატურ გამოთქმებშია დაცული. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ შესწავლას.

განვიხილავთ მეგრულ-ლაზური დალოცვის ფორმულებსა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს. მასალა მრავალფეროვანია და საკმაოდ მრავალრიცხოვანიც.

შესაძლებელია გამოიყოს მილოცვა-დალოცვის თემატური ჯგუფები:

საზოგადო: მეგრ. **მეგახვამანქგ//მემხვამუ** „მოგილოცავ, მომილოცნია“, ლაზ. **გეგიხვამაL** „მოგილოცავ, მომილოცნია“ (მილოცვაც არის და დალოცვაც) (დასახელებულია ის დღესასწაული თუ მოვლენა, რომელსაც ვულოცავთ).

მეგრ. **ღორონთგქ დორხვამასგ** „ღმერთმა დაგლოცოს“, ლაზ. **ღორმოთიქ გეგხვამას**;

მეგრ. **ჯუარი გიწერს** „ჯვარი გეწეროს//გწერია“ (ჯვრის სახელით დალოცვის მაგალითი ლაზურში ვერ დავადასტურეთ);

მწუხარების: მეგრ. **ანწიანწიმე ჯგირობუა რშიბუდანი** „ამის მერე (მომავალში)“ სიკეთე გეშოვოთ (გქონოდეთ), ლაზ. **კაინობა მექჩათ ღორმოთიქ** „ღმერთმა სიკეთე მოგცეთ“;

განსაცდელის: მეგრ. **ღორონს გინუჯინუდასგ** „ღმერთს გადმოეხედოს“ (ღმერთმა გადმოგხედოს), ლაზ. **ღორმოთიქ გილგოწკედას ზედმიწ**. „ღმერთი გხედავდეს“ ე. ი. „ღმერთმა გადმოგხედოს,შეგიწყალოს“;

გამარჯვების (**წარმატებების მოსურვების**): მეგრ. **გომორძგვი-**

ლო ცოფედა „გამარჯვებული ყოფილიყავი, გაგემარჯვოს“;

ახალშობილის, (**საზოგადოდ ბავშვის**) **დალოცვა**: მეგრ. **ღორონთგქ მორდასგ//მორდელედას** „ღმერთმა გაზარდოს, გაზრდილიყოს“, ლაზ. **ღორმოთიქ გირდას** „ღმერთმა გაგიზარდოს“;

სიხარულის მინიჭების: მეგრ. „**ირო გახარებული** ცოფედა“ „ყოველთვის გახარებული ყოფილიყავი“, ლაზ. „**ხელებერი ტა**;

ნათელი მომავლის: მეგრ. **ჯგირი დღა გოძირგ ღორონთგქ** „ღმერთმა კარგი დღე დაგანახოს (მოგცეს)“, ლაზ. **კაითე სქიდი** „კარგად, კეთილად გეცხოვროს“.

გამრავლების: მეგრ. **ღორონთგქ გგგამრავლასგ** „ღმერთმა გაგამრავლოს“, ლაზ. **ღორმოთიქ გომბრიალას**;

ბარაქის: მეგრ. **შიოში მარანცალო გიფუდასგ** „შიოს მარანივით აფუვდი, აღორძინდი (ბარაქა მოგცეს ღმერთმა);

მოსავლიანობის: მეგრ. **ბრელი მოიწიუდასგ** „ბევრი მოგეწიოს“;

მგზავრობის: მეგრ. **შარა დო კარი ხვამელი რ**ცოფუდასგ „შენი შარა-გზა დალოცვილი ყოფილიყოს“; ლაზ. **კაობათე მოხთით** „კარგობით (მშვიდობით) მოდით“;

ჯანმრთელობის: მეგრ. **ტანსინთელე მიგკოჭაბუ ღორონთგქ** „ჯანმრთელობა მოგაწებოს (მოგცეს) ღმერთმა“, ლაზ. **ღორმოთიქ კაინობა მეგჩას** „ღმერთმა ჯანმრთელობა//სიკეთე მოგცეს“;

მიცვალებულის ცხონების: მეგრ. **ღორონთგქ ოჩხონუას** „ღმერთმა აცხონოს“, ლაზ. **ღორმოთიქ რახმეთი ოლოდას**;

სარიტუალო: ვენახის ნაყოფის, ახალნამონაგები ძროხისა და რძის ნაწარმის, ახალი ტანისამოსის შეკერვის, საქორწილო დალოცვები;

აღსანიშნავია, რომ მეგრულში დალოცვის ფორმულებსა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში უმეტესწილად მონაწილეობს ან იგულისხმება ლექსიკური კომპონენტები მეგრულში **ღორონთი** „ღმერთი“ და **ჯუარი** „ჯვარი“, ლაზურში კი — მხოლოდ **ღორმოთი** „ღმერთი“.

წარმოდგენილია ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური და სინტაქსური ანალიზი შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული) მასალის გათვალისწინებით.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ვითარებითი ზმნისართის პარალელური ფორმები მეგრულში

პირველადი ზმნისართების ხვედრითი წილი მეგრულ-ლაზურში ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, დიდი არ არის; ზმნისართები ძირითადად სახელისაგან არის ნაწარმოები სხვადასხვა აფიქსების დართვით. რაც შეეხება დერივაციულ ვითარების ზმნისართებს, მათ საწარმოებლად სხვადასხვა ბრუნვის ნიშანი გამოიყენება, უფრო ხშირად — გარდაქცევითი (ვითარებითი) ბრუნვისა. თავისებურია -**ას** სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც გვხვდება გარდაქცევითი ბრუნვის -**ო** სუფიქსიანი ფორმების პარალელურად (ზედსართავი სახელისაგან ვითარების ზმნისართის საწარმოებლად):

მანგარ**ო** ‖ მანგარ**ას** „მაგრად“
ძვირ**ო** ‖ ძვირ**ას** „ძვირად“
ჯგირ**ო** ‖ ჯგირ**ას** „კარგად“
წყინარ**ო** ‖ წყნარ**ო** ‖ წყინარ**ას** ‖ წყნარ**ას** „წყნარად“
დაბალ**ო** ‖ დაბალ**ას** ზედმიწ. „დაბლად“
მაღალ**ო** ‖ მაღალ**ას** ზედმიწ. „მაღლად“
ეფ**ო** ‖ ეფ**ას** „იაფად“ და სხვ.

-**ას** სუფიქსიანი ზმნისართები -**ო** სუფიქსიანების პარალელურად გვაქვს **გაყოფით**[3] (განყოფით თუ განყოფად) რიცხვით სახელებშიც:

ჟიჟირ**ო** ‖ ჟიჟირ**ას** „ორ-ორად“
სუსუმ**ო** ‖ სუსუმ**ას** „სამ-სამად“
ოთხოთხ**ო** ‖ ოთხოთხ**ას** „ოთხ-ოთხად“
ხუთუთ**ო** ‖ ხუთუთ**ას** „ხუთ-ხუთას“
ვითით**ო** ‖ ვითით**ას** „ათ-ათად“ და ა. შ.

-**ას** სუფიქსი არც ქართულისათვის არის უცხო (მაგ., იოლ**ად** ‖ იოლ**ას**).

ი. ყიფშიძეს მიაჩნია, რომ -**ას** სუფიქსი მეგრულში ქართ-ის ენი-

[3] ტერმინი გაყოფითი რიცხვითი სახელი, როგორც რუსული ტერმინის разделительное имя числительное შესატყვისი, ა. არაბულმა შემოგვთავაზა. ტიპოლოგიურად ქართველური ენების მსგავსი ასეთი რიცხვითი სახელები გამოყოფილია ჩერქეზულ ენებში).

დან შესული მიცემითის ნიშანია, თვითონ ქართულში კი -**ას** იშვიათიაო (როგორც ჩანს, იგულისხმება **ძირას** და **პირას** სიტყვებში წარმოდგენილი -**ას** დაბოლოება).

ვფიქრობთ, -**ას** სუფიქსი მეგრულში, თანამედროვე ვითარების თვალსაზრისით (სინქრონიულ დონეზე), უნდა განვიხილოთ როგორც ოდენ დერივაციული სუფიქსი, რაკი ის მხოლოდ ზმნისართების საწარმოებლად გამოიყენება

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

განუსაზღვრელობით და უარყოფით ნაცვალსახელთა ფუნქციურ-ფორმობრივი მიმართებისათვის ქართული ენის დასავლურ დიალექტებში

სპეციალური ლიტერატურიდან კარგა ხანია ცნობილია, რომ კითხვითი ნაცვალსახელები წარმოადგენენ საფუძველს მიმართებით, განუსაზღვრელობით და უარყოფით ნაცვალსახელთა წარმოებისათვის ქართველურ ენებში. იმის მიხედვით, თავში დაერთვის კითხვით ნაცვალსახელს ესა თუ ის ნაწილაკი, თუ ბოლოში, ვღებულობთ უარყოფით, მიმართებით ან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს. ვფიქრობთ, ამგვარი ფორმაწარმოების წესი უნდა განაპირობებდეს ამ უკანასკნელთა ფუნქციურ აღრევას ქართული ენის აჭარულსა და გურულ დიალექტებში. დამახასიათებელია, რომ ამგვარ ვითარებას, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს დიალოგის დროს, სწორედ კითხვითი წინადადების პასუხად, თუმცა არც სხვა შემთხვევებია გამორიცხული:

— ნინო, არის **ვინმე** იქ?

— არა, **ვინმე** არ არის იქ (შდრ. სალიტერატურო ქართულის „არა, **არავინ** არის იქ“);

ვინმე არ წასულა ბათუმში (შდრ. **არავინ** წასულა ბათუმში);

ჩემს მეტი **ვინმე** ვერ გააკეთებდა ამას (შდრ. ჩემს მეტი **არავინ** გააკეთებდა ამას);

ვინმე ვერ დამაძალებს სწავლას (შდრ. **ვერავინ** დამაძალებს სწავლას);

რამე არ გადამიხდია ბაზარში (შდრ. **არაფერი** გადამიხდია ბაზარში).

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ გააანალიზებული მონაცემების საფუძველი მარტოოდენ მარტივი აღრევა არ უნდა იყოს. თუ გავიხსენებთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, აღმოჩნდება, რომ იქ (გარდა ბაცბურისა) საერთოდ არ გვაქვს არანაირი უარყოფითი ნაცვალსახელი და როცა საჭიროა შესაბამისი სემანტიკის გადმოცემა, ისინი იყენებენ მეტაფრასულ წარმოებას, რომელშიც წარმმართველია ზმნის უარყოფით ფორმასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (დ. იმნაიშვილი, არ. მარტიროსოვი). ასე რომ, აჭარულსა და გურულში მოსალოდნელია არქაულ ვითარებასთან გვქონდეს საქმე (იგივე საკითხი შესწავლილ უნდა იქნას ქართველურ ენათა სხვა დიალექტების მიმართაც).

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ვნებითობის ს.-ქართვ. -ავ ნიშანი და მისი შესატყვისი ზანურში

მოხსენებაში წარმოდგენილია ვნებითი გვარის დაბოლოებათა გენეზისის ცდა ქართველურ ენა-კილოებში. განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს ზანურში გამოვლენილი -უ სუფიქსის წარმომავლობის დადგენა ქართულის სა-თანადო მაჩვენებლებთან მიმართებით. ჩვენი თვალსაზრისით, მეგრულ-ლაზურში სხვადასხვა წარმომავლობის -უ დასტურდება. ესენია:

1. სტატიკურობის -უ ფორმანტი, ქართული -ა სუფიქსის კანონზომიერი ფონე-ტიკურ-სტრუქტურულ-ფუნქციური შესატყვისი: ქართ. ჩ-ა-ს/ნ : მეგრ.-ლაზ. ჩქ-უ-ნ; ქართ. დგ-ა-ს/ნ : მეგრ.-ლაზ. დგ-უ-ნ...

2. ქართ. -ია (ძვ. ქართ. -იეს) დაბოლოების ფუნქციური შესატყვისი: ქართ. მი-წერ-იეს/ია : ზან. მიჭარ-უ-ნ ტიპისა, რომლის ზუსტი ფონეტ.-სტრუქტურულ-ფუნქციური შესატყვისი დღეს მხოლოდ მთის დიალექტებშია შემორჩენილი, შდრ. ხევს. ხ-ბ-ავ : ზან. გი-ო-ბ-უ „აბია, ჰკიდია“. ამ შემთხვევაში საანალიზო -ავ სუფიქსს არაფერი აქვს საერთო კლ-ავ-ს ტიპის ზმნების -ავ თემის ნიშანთან, ეს უკანასკნელი სხვა წარმოშობისაა: -ავ *-ამ. შდრ. აგრეთვე კლ-ავ-ს, მაგრამ ა-ხლ-ავ-ს. ე.ი. საკუთრივ ქართულში მოხდა ცვლილება, მოიშალა, მ/ვ

კორელაცია ფონეტიკური პროცესის გამო, არადა ისტორიულად -ავ/-ამ მორფო-ლოგიური ოპოზიცია რეალურად ფუნქციონირებდა ქართულ-ში, რაც მ-ს ვ-ში გადასვლის გამო მოგვიანებით იქნა ნეიტრალიზე-ბული. ეს პროცესი თბილისურ (და სხვა) მეტყველებაში ბოლომდეა გატარებული. და სწორედ ამის გამო შე-მოგვრჩა, ალბათ, ასე ცოტა -ამ თემისნიშნიანი ზმნები ქართულ სალიტერა-ტურო ენაში;

3. უძველეს ქართულში თბ-ებ-ა ტიპის ვნებითების ამოსავალი სახე *ტბ-ავ-ნ/ს აგებულებისა უნდა ყოფილიყო, შდრ. მეგრ.-ლაზ. ტუბ-უ-ნ/ტიბ-უ-ნ „თბება“.

მ ე რ ი ც ი ნ ც ა ძ ე
(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პარალელური ფორმები შავშეთის ქართულ მეტყველებაში (ფონეტიკა)

შავშეთის მკვიდრთა ქართული მეტყველება ხასიათდება პარალე-ლურ ენობრივ ფორმათა სიმრავლით.

ფართოდ არის გავრცელებული ზმნისწინის, ზმნის ფუძისეული ხმოვნებისა და ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრის შედეგად მომხდარი ფონეტიკური პროცესები — ხმოვანთა კომპლექსების მონაცვლეობა, უმეტესად ასიმილაციის საფუძველზე.

- ხშირია ერთი და იმავე ფუძის ზმნების ნაწილობრივი და სრული ასიმილაციის ფორმები, ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მე-ტყველებაში (ვიმოწმებთ მხოლოდ სიტყვებს): *დეგვიშრეს//დიგვიშრეს, გემიხდება//გიმიხდება, გეგიარს//გიგიარდა, დემინახეთ//დიმინახეთ, გო-უკეთა//გუუკეთებია, მოურევთ//მუურევთ, შუურევთ.*
- ერთმანეთის გვერდითაა მაასიმილირებელი ხმოვანდაკარგული და ხმოვნიანი ფორმები: *გევიპარე//გევპარე, დევიწავლე//დევწავლე, დევიღალე//დევღალე.*
- დასტურდება **მო**- ზმნისწინიანი პირველი და მეორე ობიექ-ტური პირების სასხვისო ქცევის ნაწილობრივი და სრული ასიმილა-ციის ფორმათა მონაცვლეობა, **მო-** ემსგავსება **მი**- ზმნისწინს: *მემია-როსო(მომიაროსო)//მიმიარა, მომიტანა//მემიტანა//მიმიტანა, მოგიტა-ნე//მიგიტანე, მოგიკვდება//მეგიკვდება, მოგვიყვანა//მივგიყვანა (წყალი).*
- პარალელური ფორმები დასტურდება თანხმოვანთა ასიმილა-ციის შემთთხვევებშიც: *გობში//გოფში, მომკტარა//მომკდარა, ოცდაა-თი//ოზდაათი, მოგცემდა//მოქცემდენ.*
- ძალიან ბევრი პარალელური ფორმა ახლავს ბგერის დაკარგვას, ჩართვას, სუბსტიტუციას, მეტათეზისს, ნაწილობრივ — შერწყმას:

ბგერის დაკარგვა: *ძალი//რძალი, აწავლე//ასწავლე, სწორედ//წო-რეთაც, წელიწადი//წელწადი, არის//არი, ადე//ადექ//ადექი, მივე//მი-ვეც//მივეცი, დოდოფალ დავნიშნავთ//დოდოფალს ქი (რომ) მე?ყვან; თავი ტკივილი გექნება//თავის ტკივილი მეც მჭირს.*

ბგერის ჩართვა: *ცხოვრობდა//მცხოვრობენ, ყველაფერი//ყველამფერი.*

სუბსტიტუცია: *რატომ//რატონ, სიმავრმა//სიმამრმა, დამავიწყდა// დამაბიწყდა, მახსოვს//მახსონს, ენდომება//ენდონება.*

მეტათეზისი: *გასხნის//გახსნეს, იმღერებენ//იღმერებენ, რვა//ვრა, ოცდარვა//ოცდავრა, ვჭამთ//ჭვამთ,ჭვამოთ, ვსამობთ(ვცეკვავთ)//სვამობთ, ვხედავთ//ხვედავთ, ვთესავთ//თვესავთ, ვურევთ// მე ლიმონ ჟვრევ.*

ბგერათა შერწყმა: *ყვავილი//ყოვილი, კომლი//კვამლი. ეტყვე-ბა//ეტყობა, ჩვენ//ჩონ, ქვემოთ//ქომო, დაჩვეული>დაჩვევლი//დაჩოვლი.*

პარალელური ფორმები უფრო მეტი ჩანს მორფოლოგიაში. ბევ-რია აგრეთვე ერთი და იმავე მნიშვნელობის თურქული და შესატყვი-სი ქართული ლექსიკური ერთეული.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

კაკაბ-სიტყვის ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში

კაკაბი[1] [Perdix] ვარიის ტოლა გარეული ფრინველი. „ჴმა-ყო კ ა - კ ა ბ მ ა ნ“ (იერემიას წინა-სწარმეტყველება). კაკანა კ ა კ ა ბ ი მახეში ჩავარდებაო (ანდაზა). ზოგი მკვლევარი ამ სიტყვას აღმოსავლურ ენებიდან ნასესხებად მიიჩნევს. Käbk „ტყის ქათამი“ (იუ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა); ზოგი ხმაბაძვითად თვლის (გ. მელიქიშვილი).

კაკაბ-ი\\ა[2] (ქართლ., კახ.) ხის სადგამი, რომელზედაცაა დამაგრებული ქართული გუთნის ფრთა („დიალ.“). გამოთქმულია მოსაზრება, რომ **კაკაბ-ი**\\ა[2] ს.-ქართვ. ***კაკ-აბ-** „დირე, მორი“ → ქართ. კაკაბი \\ კაკაბა: სვან. კიკბერ (მ. ჩუხუა). ჩვენი აზრით კი ეს სიტყვა კომპოზიტია. **კაკაბი** ← გადატ. **კაკი(ა)ბერა. კაკიბერა** (ლჩხ.) სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გაკეთებული დირე, რომელზედაც საქვაბე ჰკიდია. კომპოზიტის პირველი ნაწილი იგივე უნდა იყოს, რაც საერთო ქართველური ძირი **კაკ-** (კაკ-ვ-ი, მო-კაკ-ვ-ა და სხვ.) (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე); მეორე ნაწილი ბერ-კი უნდა გამოიყოფოდეს სიტყვაში **ბერა**: 1. (ქსნ. ქართლ.) თივის დასამაგრებელი ხე მარხილზე; 2. (ლეჩხ.) წბერის (ჭაჭის საწნეხი მანქანის ნაწილი). **ბერ**-ს შესატყვისი ეძებნება სვანურში. **ბერ** — ფრთებიანი ფიცარი. ღანწუში ბერ (ბზ.) კავის ფრთებიანი ფიცარი. ზუჰა ჩუქამშხენ ბერს ხოსგურედ (ბქ. 229) — კავის მოხრილ მხარს ქვემოდან — ფრთებიან ფიცარს ვუკეთებთ (ვუსვამთ) (ვ. თოფურია, მ. ქალდანი). **ი****ა**-ს მონაცვლეობა და **რ**-ს შემცველი მარცვლის დაკარგვა ქართულისთვის დამახასიათებელი პროცესებია.

კაკაბი[3] (რაჭ.) საცერი. ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობის კაკაბი კავშირში უნდა იყოს ლათინურის „ქვაბის“ აღმნიშვნელ caccabus-თან.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სიტყვა მზესთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

ენას მჭიდრო კავშირი აქვს აზროვნებასა და კულტურასთან, ეს კავშირი განაპირობებს ენათმეცნიერების კავშირს ფილოსოფია-ფსიქოლოგიასთან, ერთი მხრივ, და ისტორია — ეთნოგრაფიასთან, მეორე მხრივ. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ენის შესწავლა კულტურასა და აზროვნებასთან კავშირში, „ესაა ყველაზე არსებითის შესწავლა ენაში, და, მაშასადამე, ყველაზე მნიშვნელოვანი: უფრო მნიშვნელოვანი თეორიული ამოცანა ენათმეცნიერებას არც ჰქონია და არც აქვს“.

მზე თავისი ძირითადი თვისებების (ნათება-სხივოსნობის, „მოძრაობის“, სიცოცხლის მონიჭების, სილამაზის, გარეგანი გამოსახულების (ფორმის) მიხედვით აისახა უნივერსალიების სახით სხვადასხვა ხალხთა ენაში, მითოსსა (მზის ცხოველები: ცხენი, ირემი, ლომი...) და სიმბოლურ ორნამენტებში (მბრუნავი ჯვარი, ბორჯღალი...).

ქართული ენის მონაცემები საინტერესო სურათს გვაძლევს ამ თვალსაზრისით. განსაკუთრებით საყურადღებოა დიალექტური მასალა: **მზეზე სიარული**, **სამზეოს ყოფნა**, **მზის ყურება** „სიცოცხლე, არსებობა“, **მზის გაქრობა**, **მზის დაბნელება**, **მზის დადგომა**, **მზის ჩასვენება** „სიკვდილი, გარდაცვალება“, **მზით გაუმაძღარი** „ვისაც მოხუცებულობამდე არ უცხოვრია“, **მზეგრეძელობა** „დღეგრძელობა... **მზებძანებანი** (თუშ., ფშ.) „საღამო, მზის ჩასვლის ხანი, მწუხრი“ (გ. ცოცან.), **მზეგადენა** (ხევს.) „საღამო ხანი, როცა ჩრდილები მდინარის მეორე მხარეს გადავა“ (ალ. ჭინ.ჭ.), **ზიწვერნა** (ზ. აჭარ.) „მზის ამოსვლა“ (შ. ნიჟარ.), **მზეამადენა, მზეამაე** (ხევს.) „მზის ამოსვლის დრო“ (ალ. ჭინჭ.)...

მზე — ამინდის ამსახველ ლექსიკაში: **მზეავდარა** (რაჭ.), **მზეკარა** (ქართლ.), **მზე პირს იბანს**...

მზე — სილამაზის წყარო, სიმბოლო: **მზისადარი**, **მზეჭაბუკი**, **მზეთუნახავი**... **მზეკაბანი** (ფშ., კახ.) „ყანას რომ ქარი უქრის, აღელვებს და სხვადასხვა ფერს იღებს, იმას ჰქვია მზეკაბანი“ (ა. ჭყონ.), ნიავის შექროლებით მრავალფრად აბიბინებული ყანა (ნ. ზუკაკ., ე. ხუციშვ.).

მზე — გრძნობის, სიხარულისა და მწუხარების ამსახველ გამონათქვამებში: **პირს მზე დეეფინების**, **მზე ცხრაკნით ამაუჰდების** (ხევს.) „ძალიან გაუხარდება“, **მზის უკუღმ ჩაჰდომა** (ხევს.) „დიდი მწუხარება, უბედურება“... მზე — ფიცილსა და წყევლის ფორმულებში: **დაღალულის მზის მადლმა** (ხევს.) ქალების ფიცია: „მთელი დღე ცაზე სიარულით დაღლილ („დედასთან რომ ბრუნდება“), მზის მადლს გეფიცები (შდრ. მ. ჯანაშვ.: **მზისმა**) (ალ. ჭინჭ.)... და მრავალი სხვ.

ქართულ ენასა და მის დიალექტებში მზესთან დაკავშირებული დაუნჯებული მასალა საგულისხმოა როგორც ორიგინალური წარმოდგენა-შეხედულებების, ისე სხვა ენებთან ტიპოლოგიური მსგავსების თვალსაზრისით.

ц и р а ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

მეგრული კოჩი „კაცი“ ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებში

1. მეგრული **კოჩ**-ს, რომელსაც შესატყვისები ეძებნება ქართულსა და სვანურში, ქართული **კაც**-ის ყველა მნიშვნელობა მოეპოვება: „ადამიანი; მამაკაცი; მსახური, ყმა; შიკრიკი; ვინმე...“ ამავე დროს, აღსანიშნავია, ის თავისებურება რასაც ის ბრუნებისას ამჟღავნებს, კერძოდ, მიცემითში ბრუნვის ნიშნის წინ ფუძისეული **ც**-ს დაკარგვა (მიც. კო-ს „კაცს“); მრავლობითიც თავისებურად გადმოიცემა — მოსალოდნელი **კოჩეფ**-ის პარალელურად და უფრო ხშირადაც სხვა ფუძე **კათა** გამოიყენება, ე. ი. სუპლეტივიზმთან გვაქვს საქმე. საკმაოდ მრავალფეროვანია **კოჩ** ფუძის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი, სახელდობრ, მისი გამოყენება დერივატებსა და კომპოზიტებში.

2. **კოჩ**-ისაგან ახალი სიტყვები იწარმოება როგორც სუფიქსებით, ისე პრეფიქსისა და პრეფიქს-სუფიქსის გამოყენებით.

-**ანა** II -**ობა**: კოჩ**ანა** II კოჩ**ობა** „კაცობა“

-**ურ** II -**იერ**: კოჩ**ურ**ი II კოჩანი**ერ**ი „კაცური“, კოჩობ**ურ**ი „კაცის მსგავსი, კაცისებური“

-**ამ**: კოჩ**ამ**ი „კაციანი“

-**ო**: კოჩამ**ო** „კაციანად“, კოჩურ**ო** „კაცურად“

-**ობა**: კოჩიშ**ობა** „კაცობრიობა, მთელი ქვეყანა“, ზედმიწ. „კაცისობა“, კოჩიშ**ობა**ს „დასაბამიდან, კაცის გაჩენის დღიდან“

უ-: უკოჩობა „**უ**კაცობა“

ნა — **უ**: **ნა**კოჩან**უ** „ნავაჟკაცარი, კაცის ნამოქმედარი“

სა — **ო** II **სა** — **ე**: **სა**კოჩ**ო** II **სა**კოჩ**ე** „საკაცო“

3. **კოჩ**-ის მონაწილეობით იქმნება მრავალი კომპოზიტი, ამასთან, მეტწილ შემთხვევაში **კოჩ**- ფუძე კომპოზიტის მეორე კომპონენტია.

ქომოლ**კოჩი** „ვაჟკაცი“ (ამავე მნიშვნელობით პარალელურად იხმარება **ქომოლი**)

ოსურ**კოჩ**ი „ქალი, ქალბატონი“ (ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **ოსური** II **ოსურპატონი** II **ადამიანი**)

ბაღანა**კოჩ**ი „ახალგაზრდა კაცი“, ზედმიწ. „ბავშვ-კაცი“

ჯიმა**კოჩ**ი „ძმაკაცი“

დუდ**კოჩ**ი „თავკაცი, უფროსი“

დიდ**კოჩ**ი „დიდი კაცი, მაღალი თანამდებობის პირი“

გურ**კოჩ**ი „გულიანი, გულთბილი კაცი“

ირი**კოჩ**ი II ირ**კოჩ**ი „ყველა“, ზედმიწ. „ყველა კაცი“

ოჩო-**კოჩ**ი „ტყის კაცი“, ზედმიწ. „ვაცად-კაცი“ (ზღაპრული, მავნე არსება, რომელიც ტყეში ბინადრობს).

კოჩიყინტუ „კაციჭამია“, ზედმიწ. „კაცის მყლაპავი“

კოჩიშშური II **კოჩ**იშური „არავინ“, ზედმიწ. „კაცის სული“

კოჩისქუა „კაციშვილი; ადამიანი“

კოჩძითინი „არავინ“, ზედმიწ. „კაცი არავინ“

კოჩურ**კოჩ**ანა „კაცურკაცობა“

გაკომპოზიტებულია მიმართვის ფორმა (ყოფილი შესიტყვება): სი**კოჩ**ი II სა**კოჩ**ი! (შეკვეცილად — სი**კო**!) „შე კაცო!“

4. **კოჩ** ფუძისაგან იწარმოება ზმნები: ა**კოჩ**ენს „აკაცებს“ **კოჩ**ანენს II **კოჩ**ენს „კაცობს“, ი**კოჩ**ებუ „კაცდება“...

5. **კოჩი** მეგრულში საკუთარ სახელადაც გამოიყენება, განსაკუთრებით — სხვადასხვა სუფიქსით გაფორმებული: **კოჩა**, **კოჩ**ოია, **კოჩ**ობა, **კოჩ**ინა...

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

დიალექტიზმები სასაუბრო მეტყველებაში (ინტერნეტ-მასალის საფუძველზე)

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ქალაქური მეტყველებისათვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ა) სხვადასხვა დიალექტურ მეტყველებათა თავმოყრა; 2) უცხოენოვანი მეტყველების არსებობა.“ (ბ. ჯორბენაძე). იქვე დაზუსტებულია: „ქალაქში იქმნება ენობრივი კონგლომერატი სხვადასხვა დიალექტური მეტყველებისა, უხვად შეზავებული უცხოენოვანი ელემენტებით. ეს ენობრივი კონგლომერატი თანდათანობით იწმინდება, მკვეთრი სხვაობანი ნიველირდება, მსგავსება წინ წამოიწევა, წარმოიქმნება ახალი ერთიანობა, თავისებური ნაირსახეობა ძირითადი ენობრივი სისტემისა... ასე წარმოქმნილი ქალაქური მეტყველება კილოურ ნაირსახეობას იძლევა

უკვე სოციალური ფენების მიხედვით“.

მაგრამ, ცნობილია, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის მუდმივ ცვლილებას განიცდის და ამისკენ ყველაზე დიდი ტენდენცია სწორედ დიალექტებს, და, მათ შორის კი, სწორედ რომ ქალაქურ, სასაუბრო მეტყველებას აქვს. გარდა ობიექტური მიზეზებისა, ამაზე სუბიექტური ფაქტორიც ახდენს გავლენას — ეს ყველასაგან გამოყოფისა და ინდივიდუალურობისაკენ სწრაფვის ტენდენციაა. შედეგად თავს იჩენს საპირისპირო მოვლენა — „დაწმენდილ“ და „სხვაობანიველირებულ“ მონაცემში შემოიჭრება ახალი დიალექტური ერთეული თუ უცხო ლექსიკა...

თავად ქალაქური, ამ შემთხვევაში, თბილისური სასაუბრო მეტყველების კარგად დოკუმენტირებულ სურათს ინტერნეტში განთავსებული ვებგვერდები გვაძლევს; განსაკუთრებით, ისეთები, სადაც ამა თუ იმ კომენტარის დადებაა შესაძლებელი. ამ მხრივ ჩვენი ინტერესის სფერო ერთი კონკრეტული საიტი — „ფეისბუქი“ გახდა, სადაც ამ მხრივ უნიკალური მასალის მოპოვებაა შესაძლებელი — ამ ვებგვერდის ძირითადი ფუნქცია სხვადასხვა მომხმარებლის მიერ სხვადასხვა ინფორმაციის, ვიდეომასალისა თუ აუდიოჩანაწერის გავრცელებაა; შემდეგ კი მათზე კომენტარების დადებაც ხერხდება. რადგან აღნიშნული პროცესი სპონტანურია და განსათავსებელი მასალის არჩევანიც — სრულიად შეუზღუდავი, ვებგვერდზე დაფიქსირებული ენობრივი მასალაც სასაუბრო მეტყველების კარგ ნიმუშებს გვიჩვენებს; და ზეპირი მეტყველებისგან განსხვავებით მას ერთი უპირატესობაც აქვს: ვინაიდან ეს ყველაფერი აქ ჩანაწერის სახითაა მოცემული, სურათი უფრო ნათელი და საინტერესოა — ის, რაც ზეპირ მეტყველებაში შეიძლება გარკვევით არ ისმოდეს, აქ დოკუმენტურად, თითოეული ასოს ზუსტი გადმოცემით არის წარმოდგენილი; საინტერესოა თითოეული ერთეულისათვის შესაბამისი ასო-ბგერობრივი ეკვივალენტების შერჩევის კრიტერიუმებიც...

აღნიშნული მეტყველების მთავარ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ დიალექტური ლექსიკისა და, ზოგ შემთხვევაში, ასევე, მორფოლოგიურ-სინტაქსური შემთხვევების სიჭარბე. შეინიშნება უცხო ენათა ლექსიკიდან შემოსული ერთეულების სიმრავლეც, თუმცა ეს უკანასკნელი ამჯერად ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს...

დიალექტური ლექსიკის ანალიზისას გასამიჯნია ორი შემთხვევა:

1. როცა აღნიშნული ლექსიკის სიჭარბე თემის საჭიროებას მოაქვს (მაგ., კახურ დიალექტზე გადასვლა რთველზე საუბრისას);

2. როდესაც დიალექტური ლექსიკა თემისგან დამოუკიდებლად შემოდის საუბარში და ის ხშირად ამა თუ იმ ინდივიდის მეტყველების ზოგად მახასიათებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

შევნიშნავთ, რომ მეტყველების აღნიშნული თავისებურებები, ძირითადად, 20-დან 45 წლამდე ასაკის, სოციალურად სხვადასხვა ჯგუფის (მეცნიერები, მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე პირები...) მომხმარებლებშია დაფიქსირებული; თუმცა, მკვეთრი ასაკობრივ-სოციალური საზღვრების დადგენა აქ არ ხერხდება... დიალექტური ლექსიკის მოხმობა სტილური მიზეზებითაა გამოწვეული, რითაც მომხმარებელი, ამავდროულად, საკუთარ ინდივიდუალურობასა და განათლებას (კერძოდ, ამ შემთხვევაში დიალექტური — ასევე უცხოენოვანი ლექსიკის გამოყენებისას — უცხო ენების — მასალის ცოდნა) უსვამს ხაზს.

მაგალითისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე ტიპობრივ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება აღნიშნულ ვებგვერდზე და შესაბამისად, ზეპირ სასაუბრო მეტყველებაშიც:

<u>**ფონეტიკურად ცვლილი სიტყვები**</u>:
გოგუები (გოგონები), **ბალღები** (ბავშვები), **ბუზუკა** (მუსიკა), **შაფათი** (შაბათი), **კაპეიკი** (კაპიკი), **სამსე** (სავსე), **საცხა** (სადღაც), **ეხა** (ახლა), **ისთე** (ისე), **რაფერ** (როგორ), **რეიზა** (რატომ)...

<u>**საკუთრივ დიალექტური ლექსიკა**</u>:
დაძოძიალობენ, **გაჰკოკრამდა**, **მოდღლეზილი**, **იჭიფხება**, **მაკვარანცხობს**...

<u>**ზმნები ცვლილი ზმნისწინისეული ხმოვნებით**</u>:
გოუშვან, **გოდოუხადოს**, **შუუყვარდი**, **მამითხოვია**, **მეიცა**, **მაიცა**, **გეიტანეთ**...
და მრავალი სხვა...

ბოლოს დავძენთ, რომ სტილიზაციისა და საკუთარი ინდივიდუალურობის გამოკვეთის მიზნით სასაუბრო მეტყველებაში ქართული დიალექტების მონაცემების კეთილგონივრულ და მოტივირებულ მოხმობას, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ უნდა მივესალმოთ.